გიორგი გამყრელიძე

# პოლიტიკური კულტურა და ხედვა

## მთლიანობა VS ცნობიერი კავშირები



# პოლიტიკური კულტურა და ხედვა
# მთლიანობა VS ცნობიერი კავშირები

**გიორგი გამყრელიძე**

EUROPE OUR HOUSE

2013

ავტორი **გიორგი გამყრელიძე**

კორექცია **მედეა აბესაძე**

თარგმანი **კშიშტოფ ლუკიანოვიჩ**
**თამარ გამყრელიძე**

ილუსტრაცია **ბექა თაბუკაშვილი**

დაკაბადონება **ნინო ყაველაშვილი**

ISBN 978-9941-0-5335-1

© გიორგი გამყრელიძე, 2013 წელი
© ევროპა ჩვენი სახლი, 2013 წელი

# ს ა რ ჩ ე ვ ი

წინასიტყვაობა

შესავალი ........ 7

პოლიტიკური კულტურა საქართველოში ........ 9

თვითშეგნება და ცნობიერება ........ 13

დემოკრატიის შენების საფუძვლები ........ 17

სამართლიანობა და მშვიდობიანი თანაცხოვრება........ 23

ომი თუ წარსულთან შეხვედრა ........ 27

რუსეთთან ურთიერთობა და ეროვნული ინტერესები ........ 31

საგარეო ვექტორი და საქართველოს დასავლური
პოლიტიკური კურსი........ 39

ნამდვილად შემიძლია საკუთარი თავი
ევროპელად მივიჩნიო? ........ 48

თქვენი ევროპული ხედვა ........ 51

დანართი 1 ........ 57

დანართი 2 ........ 59

დანართი 3 ........ 64

დანართი 4 ........ 67

ბიბლიოგრაფია ........ 69



## წ ი ნ ა ს ი ტ ყ ვ ა ო ბ ა

აღნიშნული წიგნი ეძღვნება გდანსკის უნივერსიტეტის პროფესორს, ანდჟეი ხოდუბსკის. ჩემი და ანდჟეის ურთიერთობა დაიწყო პოლონეთში 2006 წელს, როდესაც პოლონეთის მთავრობის სტიპენდიით ვმონაწილეობდი ახალგაზრდა მკვლევართა პროგრამაში. ერთი წლის განმავლობაში პროფესორის ხელმძღვანელობით ვმუშაობდი საქართველო-პოლონეთის ურთიერთობებზე, პოლონეთის ევროატლანტიკური ინტეგრაციის გამოცდილებასა და გლობალური უსაფრთხოების საკითხებზე. ლექციების სახით პოლონელ სტუდენტებს ვაცნობდი საქართველოსა და კავკასიის ისტორიას, გეოპოლიტიკურ მნიშვნელობასა და მიმდინარე პროცესებს.

პოლონეთში მოღვაწეობის პერიოდში ვგრძნობდი ხელმძღვანელის დიდ ყურადღებას, რომელიც აქტიურად მრთავდა სამეცნიერო კონფერენციებში, მაცნობდა პოლონურ კულტურასა და საზოგადოებას. ჩვენი ყოველი შეხვედრა მომავალი შეხვედრების მოლოდინს ბადებდა. დღეს მოლოდინი უკავშირდება ორმხრივად მოძრავ საფოსტო ბარათებს, რომლის საშუალებითაც უზიარებთ ერთმანეთს შეხედულებებს.

მადლობა მინდა გადავუხადო ჩემს პოლონელ მეგობრებს და განსაკუთრებით გდანსკის უნივერსიტეტის ასისტენტ–პროფესორს არკადიუშ მოდრჟეიევსკის, რომელიც არის საქართველოზე უზომოდ შეყვარებული და ქართველი ხალხის დიდი მეგობარი.

ასევე მადლობა მინდა გადავუხადო ყველას, ვინც კრიტიკულად წაიკითხავს ჩემს ნააზრევს.

**გიორგი გამყრელიძე**



## Słowo wstępne

Niniejszą książkę chciałbym zadedykować profesorowi Andrzejowi Chodubskiemu, pracownikowi Uniwersytetu Gdańskiego. Nasze pierwsze spotkanie miało miejsce w Polsce w 2006 r., kiedy byłem jednym z uczestników Programu Stypendialnego rządu RP dla Młodych Naukowców. Prof. Chodubski został wówczas moim promotorem i wspólnie, przez blisko rok, pracowaliśmy nad takimi zagadnieniami jak stosunki polsko – gruzińskie, polskie doświadczenie w integracji ze strukturami euroatlantyckimi a także problem bezpieczeństwa we współczesnym świecie.

W trakcie pobytu w Polsce nieustannie mogłem liczyć na pomoc i wsparcie ze strony profesora. Dzięki temu miałem okazję uczestniczenia w organizowanych na uniwersytecie konferencjach i innych naukowych wydarzeniach. Promotor przekazywał mi również cenną wiedzę na temat polskiej kultury, historii, obyczajów, co pomogło mi z kolei lepiej poznać polskie społeczeństwo. Z wielką niecierpliwością czekałem zawsze na kolejne spotkanie z profesorem.

W Polsce miałem również przyjemność pracować ze studentami, których, podczas moich wykładów, zapoznawałem z historią, geopolityką i bieżącymi wydarzeniami związanymi z Gruzją i całym regionem Kaukazu.

Po zakończeniu programu stypendialnego, nadal utrzymywaliśmy z profesorem stały kontakt za pośrednictwem poczty. Do dzisiaj piszemy do siebie listy, w których wymieniamy się naszymi poglądami na przeróżne kwestie.

We wstępie do tej książki chciałbym również podziękować wszystkim moim polskim przyjaciołom, a szczególnie doktorowi Arkadiuszowi Modrzejewskiemu z Uniwersytetu Gdańskiego, który jest wielkim miłośnikiem Gruzji i przyjacielem gruzińskiego narodu.

Dziękuję również wszystkim tym, którzy przeczytają niniejszą książkę i podzielą się ze mną swoimi krytycznymi uwagami.

**George Gamkrelidze**

## P r e f a c e

This book is dedicated to Professor Andrzej Chodubski of Gdansk University. My relationship with the Professor started in Poland in 2006, when with the Polish Governmental scholarship I was participating in Young Researchers' Program. For one academic year under the supervision of the Professor I was working on Georgian-Polish relations, Polish Euro-Atlantic integration experience and global security issues. By delivering lectures to the Polish students I used to introduce them to the history of Georgia and Caucasus, Geopolitical importance and current events.

During my stay in Poland I felt immense attention from the Professor, who actively engaged me in scientific conferences, introduced me to Polish culture and society. Every our meeting used to give birth to the expectation of future meetings. Meantime the expectation is related to postcards traveling in two directions, through which we share our views to each other.

I want express my gratitude towards my Polish friends and in particular towards an Assistant Professor Arkadiusz Modrzejewski of Gdansk University, who is deeply in love with Georgia and is a great friend of Georgian people.

I also want to thank everyone who will read this view of mine with critical eye.



**George Gamkrelidze**



## შ ე ს ა ვ ა ლ ი

კაცობრიობის უმთავრესი გამოწვევა მთლიანობის გაანალიზება და ცნობიერი კავშირების ახსნაა. ზოგჯერ ის, რაც შორიდან ერთ მთლიანს წარმოადგენს, ახლოდან განსხვავებულ სურათს იძლევა. მთლიანობის გასაანალიზებლად საჭიროა ცნობიერი კავშირების დანახვა, რაც საგნებისა და მოვლენების ურთიერთკავშირს და მთლიანობის განცდის ჩამოყალიბებას იწვევს.

საქართველოში არსებული პოლიტიკური კულტურა და რეალობა, სწორედ მთლიანობისა და ცნობიერი კავშირების სახით მინდა განვიხილო, რათა საკითხის გაანალიზებისას მხოლოდ შეუიარაღებელი თვალით და არც გამადიდებელი შუშით მოგვიწიოს დაკვირვება. აღნიშნულ წიგნში შევეცადე, რომ პრობლემა წარმომედგინა ერთ მთლიანობად და ამესახა მათ შორის არსებული კავშირები.

ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრება ნათლად ასახავს მის პოლიტიკურ კულტურას, საზოგადოების ცნობიერებას, თვითშეგნებას, თანაცხოვრებისა და გადაწყვეტილების მიღების თვისობრივ მხარეებს. იგი სარკეა იმის, თუ რამდენად არის გამჯდარი საზოგადოებაში მორალი, ეთიკა და ვალდებულებები; როგორ აღიქმება გადაწყვეტილების მიღებისას რაციონალიზმისა და დეონტოლოგიის მიდგომები. საკითხებს განვიხილავთ რაოდენობრივი თვალსაზრისით, თუ სავალდებულო ქმედებების შესრულების მნიშვნელობით.

წიგნში წარმოდგენილია დღევანდელი საზოგადოების თვითშეგნების ელემენტები, ზოგადი და პიროვნული მიდგომები, რაც გვეხმარება ადამიანის რწმენის, კანონის პატივისცემისა და პასუხისმგებლობის შემეცნებაში. სამწუხაროდ, საქართველოში ადამიანების უმრავლესობა განიცდის საკუთარი არსებით ტკბობას და აქცენტს აკეთებს გარეგან ფაქტორებზე. აუცილებელია გამოვიმუშაოთ თვითკრიტიკის სურვილი, რათა უფრო მოწესრიგებული და გულახდილი გავხადოთ შინაგანი ბუნება.

ცივილიზაციის მაღალ საფეხურზე ასასვლელად საჭიროა ქვეყანაში დემოკრატიის განვითარება, რაც დასავლური ფასეულობების დამკვიდრებასა და პატივისცემას გულისხმობს. ქართველებს ძალზედ მოგვწონს დასავლეთი გარეგნულად, ხშირად მოგზაურობისას გვიფიქრია იქ ცხოვრებასა და განათლების მიღებაზე. გარეგნული

სილამაზით აღტაცებაში მყოფთ გვავიწყდება წარმატების რეალურ მიზეზებზე ფიქრი და იმის გაანალიზება, თუ საიდან იღებს ყოველივე სათავეს. ამიტომაც, ყოველთვის დასავლეთთან ინტეგრაციას გარეგნული ფაქტორების მიბაძვით ვცდილობთ. იმისათვის, რომ საქართველო რეალურად დაუახლოვდეს დასავლეთს, პირველ რიგში აუცილებელია შინაგანი ტრანსფორმაცია და დემოკრატიული ფასეულობების გამტკიცება. ყოველივე კი მოიცავს არჩევანის თავისუფლების, ძალაუფლებისათვის სამართლიანი ბრძოლის, ჩართულობის, ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის უზრუნველყოფასა და დაცვას. აუცილებელია ქვეყანა ეფუძნებოდეს კანონებს და არა ინდივიდებს, რათა არ არსებობდეს პრივილეგირებული ფენა და შერჩევითი სამართალი. სწორედ ამიტომ დემოკრატია ასოცირდება ეკონომიკურად განვითარებულ და სამართლებრივად გამართულ დასავლეთთან, სადაც გარანტირებულია ადამიანების თავისუფლება.

ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისათვის აუცილებელია წარსულის გამოცდილების გათვალისწინება და სწორი საგარეო პოლიტიკური კურსის ჩამოყალიბება, რადგან საშინაო პოლიტიკას შეუძლია დაგვამარცხოს, ხოლო საგარეო პოლიტიკას კი მოგვკლას („Domestic policy can only defeat us; foreign policy can kill us“ - John F. Kennedy). ადამიანის მსგავსად, ქვეყანაც ზუსტად იმის მიხედვითვითარდება, როგორ ქვეყნებთანაც უხდება პარტნიორობა და კოალიციაში ყოფნა. საქართველოს ჯერ კიდევ ბევრი აქვს გასაკეთებელი საბჭოთა მემკვიდრეობიდან საბოლოოდ თავის დასაღწევად. ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანების აუცილებელი წინაპირობაა მათი ფასეულობების გაზიარება და სტანდარტების ჰარმონიზაციისაკენ სწრაფვა. ერის თავმოყვარეობის საქმეა საერთო ევროპულ ოჯახში დაბრუნება, დემოკრატიულ ქვეყნად ფორმირება და მსოფლიო თანამეგობრობაში ღირსეული ადგილის დამკვიდრება. ამისათვის აუცილებელია ქვეყნის დემოკრატიული ტრანსფორმაცია და ინდივიდების თავისუფლების დონის გაზრდა, რადგან ქვეყნის სახელმწიფოებრიობის სიმტკიცეს განაპირობებს ხალხის თავისუფლების დონე. ევროპა არის ის, რაზეც უნდა მოახდინოს საქართველომ სწორება და ქვეყანაში ქართულთან ერთად ევროპული იდენტობის განცდის ჩამოყალიბება.



## პოლიტიკური კულტურა საქართველოში

ქვეყნის პოლიტიკური კულტურის დონე პირდაპირ აისახება საზოგადოების განვითარებაზე. აქედან გამომდინარე, როდესაც ვსაუბრობთ მაღალი პოლიტიკური კულტურის მქონე ქვეყნებზე აქცენტები კეთდება დემოკრატიულ დასავლეთზე, რომელიც ამავე დროს სამაგალითოა თავისი ეკონომიკური განვითარებით.

საქართველო, მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მიუხედავად, ზოგადად საკმაოდ ჩამორჩება ევროპის ქვეყნებს პოლიტიკური კულტურის დონით. აღსანიშნავია, რომ თანამედროვე პერიოდში ქვეყნის პოლიტიკური კულტურის დონე არ გამომდინარეობს მხოლოდ მდიდარი ისტორიული წარსულიდან. საბერძნეთი – უდიდესი ცივილიზაციის მქონე ქვეყანა, რომელიც ეტიმოლოგიურად დემოკრატიის სამშობლოა – ამის ნათელ მაგალითს იძლევა.

საქართველოში ძალაუფლებისათვის ბრძოლა და მმართველობის ფორმები დაკავშირებულია არა ინტელექტუალურ და ჯანსაღ კონკურენციასთან, არამედ ბრაკონიერული გზებით ნადირობასთან, ძალაუფლების მოხვეჭასა და მასების დამორჩილებასთან. საქართველოში ფართოდ გავრცელებული მოსაზრება, რომ პოლიტიკა ბინძური თამაშია, გვაძლევს ამის მკაფიო სურათს. თუმცა რთულია ცალსახად დაეთანხმო აღნიშნულ მოსაზრებას, რადგან ნებისმიერი თამაშის სისუფთავე დამოკიდებულია უპირველესყოვლისა თავად მოთამაშეებზე და არა მხოლოდ თამაშის წესზე. თამაშის თვისობრიობა განპირობებულია სწორედ მოთამაშეების მორალური, კულტურული და შემეცნებითი მხარეებით. ანალოგიური ლოგიკით შესაძლებელია ნებისმიერი სფეროს დისკრედიტაცია, მათ შორის ბიზნესის, მედიის, საჯარო და სამოქალაქო სექტორების.

საქართველოში პოლიტიკური კულტურის დონე ნათლად აისახება პოლიტიკურ პროცესებში, რაც ვლინდება დაპირისპირებების ფორმებში, სიმწვავესა და საკითხის დრამატიზებაში. თუ გადავხედავთ საქართველოს უახლეს ისტორიას დავრწმუნდებით, რომ პოლიტიკური კულტურის ასამაღლებლად ბევრი რამ არის გასა-

კეთებელი. მათ შორის აუცილებელია, რომ გაიზარდოს საზოგადოების მოთხოვნა ცივილიზებულ ურთიერთობებზე. საქართველოში ტენდენციად ჩამოყალიბდა პოლიტიკური პროცესების მიხედვით საზოგადოების დაქსაქსვა, დაყოფა და დაპირისპირება. 90-იანი წლებიდან მოყოლებული საზოგადოება მრავალჯერ ყოფილა დაყოფილი დაპირისპირებულ ბანაკებად – ზვიადისტებად, შევარდნაძისტებად, ასლანისტებად, მიშისტებად/ნაცებად და ბიძინისტებად/მეოცნებეებად. პოლიტიკური პროცესების რადიკალიზაციის შედეგად ქვეყანამ მიიღო ეთნიკური და სამოქალაქო დაპირისპირება, რამაც საგრძნობლად შეანელა ქვეყნის ეკონომიკური განვითარება.

საქართველოში, საზოგადოების ყველა დონეზე, პოლიტიკურად განსხვავებული აზრი მიიჩნევა დაპირისპირებისა და გახლეჩის წინაპირობად. ვერტიკალის მიხედვით, ზედა რგოლი მოითხოვს საშუალოსაგან, ხოლო საშუალო ქვედა ფენებისაგან მაქსიმალურად შეურიგებლობას განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების მიმართ. დაპირისპირებას საზოგადოების ნებისმიერ დონეზე აქვს წარუშლელი შედეგი, რაც გამოიხატება იმაში, რომ იგი შესაძლოა გახდეს ოჯახური, მეგობრული, ნათესაური და მეზობლური ურთიერთობების რღვევის მიზეზი. დაპირისპირების შეუქცევადი ხასიათი აისახება იმაშიც, რომ სიტუაციის შემობრუნების შემთხვევაში მძაფრია შურისძიებისა და რევანშის აღების განწყობა. აქედან გამომდინარე რეჟიმის შეცვლა ყოველთვის უკავშირდება გარიგებას ხელშეუხებლობაზე. გარიგება, როგორც წესი, გარანტიებს ქმნის საზოგადოდ არა ყველასათვის, არამედ მხოლოდ პოლიტიკური ელიტისათვის, ხოლო რაც შეეხება საშუალო და ქვედა დონეებს ისინი უმრავლეს შემთხვევაში რჩებიან შურისძიების სამიზნედ.

საქართველოში არსებული პოლიტიკური კულტურა ნათლად აისახება ფართოდ დამკვიდრებულ სიძულვილის ენაში, რომელსაც პოლიტიკოსები და სხვა სფეროს წარმომადგენლები აქტიურად იყენებენ ერთმანეთის მიმართ საჯარო გამოსვლებსა და დისკუსიებში. სიძულვილის ენა კომუნიკაციის მახინჯი ფორმაა, რაც ემსახურება ოპონენტის დისკრედიტაციასა და დამცირებას. სამწუხაროდ, საქართველოში სიძულვილის ენამ მიიღო ტრადიციული ხასიათი, რამაც გაზარდა ფიზიკური დაპირისპირებისა და ანტაგონისტური ურთიერთობების საფრთხეები. ამავე დროს იგი დამკვიდრდა პოლიტიკურ დებატებში მონაწილეობის როგორც ერთობ პოპულარული ფორმა. სამწუხაროა, რომ საქართველოში საზოგადოების საკ-



მაოდ დიდ ნაწილს მოსწონს და მისაღებად მიაჩნია სიძულვილის ენით საუბარი, რაც თავის მხრივ იწვევს მის პოპულარიზაციას.

ის გარემოება, რომ საქართველო გეოგრაფიულად სუბტროპიკულ და ზომიერ კლიმატურ სარტყელში მდებარეობს, სულაც არ ეწინააღმდეგება ქვეყანაში „პოლიტიკური ჯუნგლის“ არსებობას. საქართველოს პოლიტიკური რეალობა მეტაფორულად შეიძლება ჯუნგლებს შევადაროთ, რომელიც წარმოადგენს გაუვალ, დაბრკოლებებით აღსავსე და სამართლებრივ რეგულაციას მოკლებულ გარემოს. იგი განეკუთვნება მოუთვინიერებელ და უკონტროლო სამყაროს, სადაც ბუნება იზოლირებულია ცივილიზაციისაგან, რომლის წიაღშიდაც იბადება ისეთი ემოციები, როგორიცაა: შიში, დაბნეულობა, უძლურება, დისორიენტაცია და არაორგანიზებულობა. ქვეყნის სამართალი ეფუძნება „პოლიტიკური ჯუნგლის კანონებს“, რაც გულისხმობს შემგუებლობასა და თვითგადარჩენას. აწეწილ პოლიტიკურ სისტემაზე მეტყველებს პოლიტიკის ფორმირების, გადაწყვეტილების მიღებისა და განხორციელების პროცესი. უმრავლეს შემთხვევაში გაურკვეველია გადაწყვეტილების მოტივები, რაც ავტომატურად ბადებს პასუხგაუცემელ კითხვებს – ვინ და რატომ მიიღო ესა თუ ის გადაწყვეტილება. საქართველოში „პოლიტიკურ ჯუნგლს“ ასევე ახასიათებს პარტიების სიმრავლე და პარტიებს შორის ადამიანთა გამუდმებული მიგრაცია. პარტიების სიმრავლე აიხსნება იმით, რომ საქართველოში ინდივიდთა ამბიცია შეუთავსებელია ერთმანეთთან, რაც ძირშივე კლავს გრძელვადიან პერსპექტივაში საერთო იდეისათვის ერთად მუშაობის შესაძლებლობას. ამავე დროს, პირველობისათვის დაუოკებელი სწრაფვა სტიმულს აძლევს ინდივიდების მიერ პოლიტიკური პარტიების ფორმირებას და პოლიტიკური ბაზრის კონიუქტურის შესაბამისად სხვა პარტიაში გადაბარგებას. ყოველივე ეს კი უფრო გაუვალს ხდის ისედაც ლოგიკასა და მორალს მოკლებულ „პოლიტიკურ ჯუნგლს“, რაც თავის მხრივ იწვევს ადამიანების მსხვერპლთშეწირვას.

საქართველოში, საზოგადოების ნებისმიერ დონეზე მოსმენის, დიალოგისა და ჯანსაღი კრიტიკის უნარი კვლავ პრობლემატური საკითხია. ადამიანებს ზოგადად უჭირთ ერთმანეთის მოსმენა და კონსტრუქციული დიალოგის წარმართვა. საუბრისას მხარეები არ აძლევენ ერთმანეთს აზრის დასრულების საშუალებას და მრავალხმაში ცდილობენ ერთმანეთის ხმის გადაფარვას. ყოველივე ეს კი გამომდინარეობს იქიდან, რომ ქართული საზოგადოება ვერ ეგუება განსხვავებული აზრისა და კრიტიკის მოსმენას. საქართველო-

ში კრიტიკა აღიქმება თავდასხმად და პირად შეურაცხყოფად, რაც ხშირად გადადის ლანძღვა-გინებასა და ფიზიკურ დაპირისპირებაში. სხვა ფენომენს წარმოადგენს თავის გამოჩენის მიზნით, ერთი ადამიანის დასანახად ან გასაგონად და მისთვის ერთგულების დასამტკიცებლად  უადგილო დისკუსიებში შესვლა, რაც ჩვენდა სამწუხაროდ საკმაოდ ხშირად გვხვდება.

საქართველოში პოლიტიკური საკითხების განხილვა, პოლიტიკის სტრატეგიების შემუშავება და გადაწყვეტილების მიღება დაკავშირებულია ხელოვნურად დაჩქარებულ, ზედაპირულ, ბუნდოვან და დახურულ პროცესებთან. ქართული ანდაზა – „ასჯერ გაზომე და ერთხელ გაჭერი“ მიგვანიშნებს, თუ როგორ უნდა ვიმოქმედოთ პირველიდან ბოლო სტადიამდე, რასაც უმეტესწილად ცხოვრებაში არ ვიყენებთ. ამ შემთხვევაში გაზომვა ნიშნავს საკითხის ირგვლივ მობილიზებას, შესწავლას, ანალიზს, ალტერნატივების განხილვასა და მიზეზშედეგობრივი მატრიცის განხილვის შემდგომ „გაჭრის“ სტადიაზე გადასვლას. „გაჭრა“ ანუ გადაწყვეტილების მიღება, შედგება პოლიტიკური და ტექნიკური მხარეებისაგან, რაც მოიცავს პასუხს კითხვებზე, თუ ვის მიერ და როგორ ხდება გადაწყვეტილების მიღება და შემდგომ მისი აღსრულება. ანდაზის არსი და აქტუალობა მდგომარეობს იმაში, რომ საქართველოში ძირითადად ფაქტის წინაშე მდგართ გვიხდება შედეგების გაზომვა და მიზეზებზე საუბარი. საქართველოში ჩვეულებად იქცა დაჩქარებულად, ყოველგვარი განხილვის გარეშე, დაფარულად გადაწყვეტილებების მიღება. პოლიტიკის დაგეგმვის პროცესი ეფუძნება პირად ამბიციებს და არა შესაძლებლობებისა და ალტერნატივების გაანალიზებას. ნორმალურ სიტუაციაში სწორედ მსჯელობისა და მიზეზშედეგობრივი მატრიცის საშუალებით უნდა ხდებოდეს რაციონალიზაციისაკენ სწრაფვა. საქართველოში პოლიტიკური კულტურის დონე ნათლად აისახება ორმხრივი და მრავალმხრივი კომუნიკაციის დაბალ შესაძლებლობებში, რაც განაპირობებს მტრობას, საკითხის იგნორირებასა და წინააღმდეგობრივი მუხტის გაღვივებას.

დასასრულს, ქვეყანაში პოლიტიკური კულტურის დონე დამოკიდებულია არა მხოლოდ მაღალ ეშელონებზე, არამედ უპირველესყოვლისა თავად ხალხზე. მათ ორგანიზებულობაზე, განათლებაზე, ქცევაზე, ერთად მუშაობის მოთხოვნასა და საკითხის ერთობლივად გადაწყვეტის უნარზე. არ არსებობს ცუდი ხალხის კარგი ხელისუფალი ან კარგი ხალხის ცუდი ხელისუფლება, ყველაფერი დამოკიდებულია საზოგადოების განვითარებაზე, ურთიერთკონტროლ-



სა და მოთხოვნაზე. საზოგადოების განვითარება ნათლად ასახავს ქვეყნის პოლიტიკური კულტურის დონეს. მრავალსაუკუნოვანი ისტორიისა და მდიდარი კულტურული მემკვიდრეობის მიუხედავად, ქვეყანაში პოლიტიკური კულტურის დონე საკმაოდ ჩამორჩება სასურველს, რაც გაუთავებელმა ომებმა, ბატონყმობამ და იმპერიების წიაღში ვასალის მდგომარეობაში თანაცხოვრებამ განაპირობა. აღნიშნულმა შეაფერხა ეკონომიკურად ძლიერი და თავისუფლად მოაზროვნე ადამიანის ფორმირება, რასაც თან დაერთო თანამედროვე რენესანსის, განმანათლებლობისა და რეფორმირების პერიოდთან ჩამოშორება. ამასთანავე, საქართველოში აღმოსავლური ერების ექსპანსიამ დიდი გავლენა იქონია ქართულ ცნობიერებაზე, რამაც სხვა ფასეულობებთან ერთად დაამკვიდრა ბრმა მორჩილება.

## თვითშეგნება და ცნობიერება

ქვეყნის განვითარებასა და კეთილდღეობაზე ზრუნვა თითოეული ადამიანის მოქალაქეობრივი ვალია. ადამიანი არის ის ელემენტი, რომელმაც უნდა უზრუნველყოს საკუთარი, სხვისი და საერთოდ ქვეყნის განვითარება. ჯაჭვის სიმტკიცე გამომდინარეობს არა ცალკეული ნაწილის სიძლიერით, არამედ საერთო მედეგობით. საქმისათვის რა მნიშვნელობა აქვს, თუ ჯაჭვის პატარა და ძლიერი ნაწილები დაკავშირებულია სუსტი რგოლებით. ქვეყნის ძლიერება, ჯაჭვის მსგავსად დამოკიდებულია მოქალაქეების ცოდნასა და მაღალი თვითშეგნების დონეზე. მაგრამ ქვეყნის წარმატებისათვის მხოლოდ ცოდნა და თვითშეგნება როდია საკმარისი, ამისათვის აუცილებელია ადამიანთა შეთანაწყობა და მათი შესაძლებლობების სწორად გამოყენება. ზუსტად ისე, როგორც დიდი აკაკი წერეთელი ბრძანებდა ჩონგურის სიმების მომართვითა და შეხმატკბილებით, რადგან - „თავის ჰანგებზე, თავის ხმით, წკრიალებს ერთად ყველაო“. წარმატებისათვის მნიშვნელოვანია იმის გააზრება, რომ მოქალაქეები ერთმანეთს აძლიერებდნენ და მათ ქცევას საფუძვლად ედოს რწმენა, კანონის მორჩილება და პასუხისმგებლობით გამსჭვალული მოქალაქეობრივი მსოფლმხედველობა. ნიშანდობლივია ასევე ადამიანური რესურსების რაციონალურად გამოყენებით კაპიტალის წარმოება, რადგან სწორედ

ადამიანი ქმნის კაპიტალს, ხოლო კაპიტალის სწორად გამოყენება ავითარებს ადამიანს.

დღეს საქართველოში, ადამიანების მოთხოვნებს, პრობლემებს, დადებით თუ უარყოფით მხარეებს, ზნეობასა თუ უზნეობას, განვითარებასა თუ ჩამორჩენილობას საზოგადოების ჭრილში განვიხილავთ. ეს იმიტომ, რომ მარტივია ზოგადით მანიპულაცია და ადრესატის გარეშე საუბარი. მაინც, ვინ არის საზოგადოება? სად ცხოვრობს? და როგორ არის შესაძლებელი მასთან დაკავშირება? ამ კითხვებზე პასუხის გასაცემად უმნიშვნელოვანესია ვისაუბროთ საკუთარ თავზე, ჩვენს ირგვლივ მცხოვრებ ადამიანებზე, დავახასიათოთ შინაგანი და გარეგანი კულტურა, ვეძიოთ განვითარებისა და პრობლემების დაძლევის გზები.




საზოგადოების თვითშეგნება კარგად აისახება გადაადგილების კულტურაში, რაც ადვილად შესამჩნევია უცხო თვალისთვისაც. შეხედულებების ჩამოსაყალიბებლად საკმარისია დადგე ქუჩაში და დააკვირდე ფეხით მოსიარულეთა და ავტომანქანების გადაადგილებას. ადამიანების თვითშეგნების დონე მკაფიოდ აისახება მოძრაობის წესების დაცვასა და შუქნიშანის სამი ფერის - წითელი, ყვითელი, მწვანე გარჩევაში. პირველი, რასაც შევამჩნევთ არის უწესრიგობა და ერთმანეთის მიმართ უპატივცემულობა. არავინ არ ცდილობს ერთმანეთისადმი რაიმეს დათმობას და გაბმული სიგნალით გამოხატავენ შეურაცხყოფასა და აგრესიას. უფრო მეტიც, ხშირია უშვერი სიტყვებით ლანძღვა-გინება, რაც რიგ შემთხვევაში იწვევს საკითხის დრამატიზებას. როგორც პირდაპირი მნიშვნელობით, ასევე ირიბად პრობლემატურ საკითხს წარმოადგენს საკუთარ გზაზე სიარული და სხვებისათვის გზის დათმობა, რადგან ეს უკანასკნელი სისუსტის გამოვლინებასა და პატივმოყვარეობის აყრასთან ასოცირდება. დაგრჩება შთაბეჭდილება თითქოს  ყველას სადღაც ეჩქარება, მაშინ როდესაც საქართველოში მოსახლეობის უმრავლესობას დაკარგული აქვთ პუნქტუალობის შეგრძნება. აღნიშნული კრიტიკა თანაბრად ეხება მძღოლებსა და ფეხით მოსიარულეებს, რადგან მათი თვითშეგნება არ განსხვავდება ერთიმეორისაგან.

ბოლო ათწლეულების პოლიტიკურმა პროცესებმა კარგად გამოააშკარავა საზოგადოების დაბალი პოლიტიკური თვითშეგნება. დაბალ თვითშეგნებაზე მეტყველებს ის, რომ არ ვიცით მხარდაჭერის მიზეზი და ფარასავით მივყვებით დინებას იმ იმედით, რომ გზად რაიმე სასიკეთოდ შეიცვლება. ყოველთვის მოლოდინში ვართ და გვგონია, რომ ჩვენს გასაკეთებელს სხვა გააკეთებს. ინერტულობას ვიჩენთ მაშინაც კი, როდესაც საკითხი პირადად ჩვენ გვეხება. აღზევდა ნაცარქექიაობა, უწიგნურობით ფონს გასვლა და „მწვერვალების“ დაპყრობა. სამწუხაროდ სიბრიყვემ, ურა-პატრიოტიზმა და ზელადომანიამ დაამკვიდრა ქვეყანაში პოლიტიკური პროცესების ქუჩიდან მართვა. ხშირად გავიგონებთ ფრაზებს – გაწამდა ხალხი, განა ჩვენ ამას არ ვიმსახურებთ? მართლაც ბევრი არ იმსახურებს ამას, მაგრამ გამომდინარე იქიდან, რომ ის ბევრი მაინც სერიოზულ უმცირესობას წარმოადგენს, მათ უბრალოდ უხდებათ ყოველივეს ატანა. მართლაც, რომ არ ვიმსახურებდით ქართველები ილია ჭავჭავაძისა და სხვა თავდადებული ქართველი ერისკაცების მსგავს ადამიანებს, მაგრამ მიუხედავად ამისა ღმერთმა ისინი მაინც მოგვივლინა. სხვა საქმეა როგორ მოუსმინეთ, გაუფრთხილდით და ვიზიარებთ მათ მოძღვრებებს. მთავარია გვახსოვდეს შემახილები „საქართველო, საქართველო. გაუმარჯოს, ჯოს, ჯოს, ჯოს...“ და თუ დასმულ კითხვებზე სათანადო პასუხი არ გაგვაჩნია მოკლე რეპლიკით გავიმხნევოთ თავი – „ვაცადოთ“. კორუფციამ, ნეპოტიზმა და კლანურმა მმართველობამ სერიოზული ზიანი მიაყენა ქვეყნის განვითარებას, რამაც ძირი გამოუთხარა სამართლიან კონკურენცი-

ას, შთანთქა ადამიანური შესაძლებლობები და სფეროების ცოდნის ტრადიციები. სწორედ ამიტომ აუცილებელია გავიაზროთ ის ფაქტი, რომ არ არსებობს ცუდი მთავრობა და კარგი ხალხი, მთავრობა არის ზუსტად ისეთი, როგორსაც ხალხი იმსახურებს. ყველაფერ ამას კი საზოგადოების ცნობიერება განსაზღვრავს.

ჩვენ, რომ სამშობლო გვიყვარს... ძალიან კარგად ჩანს სადღეგრძელოებში. სამწუხაროდ, ქართული საზოგადოების მიერ სამშობლოს შემეცნება ვერ გასცდა სიტყვას. არ ვიცი რას მოიაზრებენ ადამიანები სამშობლოში: მიწას, რომელსაც გაუფრთხილებლობით ვკარგავთ; ბუნებას, რომელსაც მხოლოდ ვიყენებთ და ვაზიანებთ; თუ ჰაერს, რომელსაც ვწამლავთ. ალბათ ზოგიერთებს სამშობლოდ არ მიაჩნიათ ბუნება, ისტორიული ძეგლები, და ყველაფერი რაც კი გაგვაჩნია. თვითშეგნების დეგრადაციაზე მეტყველებს რუსთაველისა და კონსტანტინე გამსახურდიას ძეგლების საღებავით მოხატვა, საზოგადოებრივი ტრანსპორტის დაზიანება, ქუჩებისა და ბუნების დაბინძურება. ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებს „მორწმუნეების“ მიერ სალოცავებზე მსხვერპლის შეწირვის პარალელურად მიმდებარე ტერიტორიების ნაგავსაყრელად გადაქცევა. ჩვენ დიდ ყურადღებას უთმობთ გარეგან ფაქტორებს, რითაც ხშირად ვიწონებთ თავს და ვცდილობთ წარმოვაჩინოთ „საკუთარი უპირატესობები“. გვავიწყდება ის, რომ რეალურად შეუძლებელია აისბერგის სიდიდის შეფასება მხოლოდ წყლის ზედაპირზე არსებული ნაწილით. აუცილებელია ვისწავლოთ სიღრმეებში წვდომა და ჩვენი ცნობიერების ფსკერის გაანალიზება.






## დემოკრატიის შენების საფუძვლები

დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან მიმდინარეობს საუბარი, რომ ვაშენებთ დემოკრატიულ სახელმწიფოს. ყოველივე ნიშნავს იმას, რომ დავიწყეთ მშენებლობა, მაგრამ არ ვიცით ზუსტად რა ეტაპზე ვიმყოფებით და როდის დასრულდება იგი. მავანნი ამბობენ, რომ იგი გრძელვადიანი პროცესია, ყოველი მთავრობა კი საკუთარ მიღწევებზე საუბრობს, რასაც ლოგიკურად მოსდევს კრიტიკა ოპოზიციის მხრიდან. ხშირად გვრჩება იმის შთაბეჭდილება, რომ სიტყვა „დემოკრატიის“ მძევლები ვართ, რომელიც რეალურად არ არსებობს და დასავლეთის დასანახად ვიტყუებთ თავს; ვერ ვაცნობიერებთ აზრს და შესაბამისად არ გვესმის თუ რა არის გასაკეთებელი. დემოკრატიის გასაანალიზებლად აუცილებელია განვიხილოთ ძირითადი ელემენტები, რომელთა ერთიანობა გვაძლევს დემოკრატიული მმართველობის სისტემას.

დემოკრატიის უმნიშვნელოვანესი კომპონენტია ძალაუფლებისათვის კონკურენცია, რაც ნიშნავს თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების გზით ადამიანების მიერ სასურველი ლიდერებისა და პო-

ლიტიკური პარტიების არჩევას. დემოკრატიის პირობებში, ხალხი არის უზენაესი, მუდმივი ძალაუფლების მქონე პოლიტიკური ხელმძღვანელობის უმაღლესი ფორმა. სწორედ ხალხი ახდენს მთავრობებზე დროებით საკუთარი ძალაუფლების დელეგირებას. ხალხს აქვს უფლება გააკრიტიკოს მის მიერ არჩეული მთავრობა და მონიტორინგი გაუწიოს მის საქმიანობას. არჩეულმა ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს ხალხთან ორმხრივი კომუნიკაციის გამართვა, რაც მათი აზრების მოსმენასა და შეხედულებების გათვალისწინებაში მდგომარეობს. დემოკრატიისათვის აუცილებელია, რომ არჩევნები ტარდებოდეს კანონით გათვალისწინებულ ინტერვალში და ხელისუფლების მიერ ერთპიროვნულად არ ხდებოდეს უფლებამოსილების ვადების გახანგრძლივება. არჩევნების თავისუფალ და სამართლიან გარემოში ჩატარება წარმოადგენს დემოკრატიის წინაშე არსებულ უმთავრეს გამოწვევას. ამისათვის აუცილებელია, რომ არჩევნები ტარდებოდეს ნეიტრალური და სამართლიანი ორგანოს მიერ, რომელიც თანაბრად გაითვალისწინებს ყველა მონაწილე მხარის ინტერესებს. სამართლიანი არჩევნების უზრუნველსაყოფად, კანდიდატებსა და პოლიტიკურ პარტიებს უნდა მიეცეთ კამპანიის თავისუფლად ჩატარების უფლება, რათა მათ შეძლონ პირდაპირ და მედიის საშუალებით ამომჩევლებამდე თავიანთი საარჩევნო პროგრამის დაყვანა. ამასთან, ამომრჩევლებს უნდა მიეცეთ დაშინებისა და ძალადობის გარეშე ფარულად ხმის მიცემის საშუალება, რათა მათ შეძლონ კანონით მინიჭებული უფლების შესრულება. არჩევნების დემოკრატიულად ჩატარებისა და გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია, რომ ადგილობრივ და საერთაშორისო დამკვირვებლებს მიეცეთ მონიტორინგის განხორციელების საშუალება. ასევე მნიშვნელოვანია დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი ორგანოს არსებობა, რომელიც გადაწყვეტს არჩევნების პერიოდში დაშვებული დარღვევებისა და შედეგების მიმართ წამოჭრილ დავებს.

საქართველოში ძალაუფლებისათვის კონკურენცია ატარებდა და ატარებს მახინჯ ფორმებს, რასაც ნამდვილად ვერ ვუწოდებთ დემოკრატიულს. იგი მოიცავს განუსაზღვრელი დროით ძალაუფლების უზურპაციას და გავლენის სფეროების გაფართოებას. დამოუკიდებელ სახელმწიფოდ არსებობის ყველა ეტაპზე ხელისუფლება წარმოადგენდა ხალხზე გაბატონებულ ელიტას, რომელიც სხვადასხვა მეთოდით ცდილობდა მოქალაქეების დათრგუნვასა და კონტროლის ბერკეტების განმტკიცებას. ადამიანების დამორჩილებას აადვილებდა ინდივიდების დამოუკიდებლობის დაბალი ხარისხი.

საქართველოში არჩევნები ხშირად გამხდარა დაპირისპირების მიზეზი, რაც ზრდიდა ქუჩაში უმართავი პოლიტიკური პროცესების გადატანის რისკებს. საგულისხმოა, რომ სწორედ არჩევნების გაყალბებას მოჰყვა 2003 წლის „ვარდების რევოლუცია“, რამაც განაპირობა ქვეყანაში ხელისუფლების შეცვლა. საქართველოში ჩატარებული არჩევნები ხშირად იწვევდა მოქალაქეებისა და პოლიტიკური ჯგუფების გულისწყრომას, რაც გამოიხატებოდა მათ მიერ არჩევნების შედეგების ლეგიტიმაციის აღიარებაში. დღემდე სერიოზულ საკითხს წარმოადგენს საქართველოში საარჩევნო კომისიების ინსტიტუციური მოწყობა. აუცილებელია ამ მხრივ მათი თავისუფლების ხარისხის გაზრდა, მონაწილე მხარეების ინტერესების შეჯერება და შესაძლო გარე ჩარევის რისკებისაგან გათავისუფლება. არჩევნების გამჭვირვალედ და დემოკრატიულად ჩასატარებლად აუცილებელია, რომ პოლიტიკურ პარტიებს მიეცეთ კამპანიის თავისუფლად ჩატარების საშუალება და მედიის მიმართ თანაბარუფლებიანი წვდომა. სამწუხაროდ, საქართველოში მედიაზე კონტროლი დამკვიდრდა, როგორც ძალაუფლების შენარჩუნების, აგიტაციის წარმოებისა და ხალხზე ზემოქმედების იარაღი.

2012 წლის 1 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები ისტორიული მოვლენაა, რამაც საფუძველი ჩაუყარა არჩევნების გზით ქვეყანაში ხელისუფლების შეცვლას. აღნიშნული არჩევნები დემოკრატიის გზაზე არის წინგადადგმული ნაბიჯი, რომელიც მოითხოვს დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობასა და კანონის უზენაესობის განმტკიცებას.

დემოკრატიის შეფასების ერთ-ერთი კომპონენტია საზოგადოებრივ ცხოვრებაში ადამიანების ჩართულობა. მოქალაქეებს უფლება აქვთ მიიღონ საჯარო ინფორმაცია, გააკონტროლონ მთავრობის მუშაობა და ინტერესებიდან გამომდინარე წარმოადგინონ საკუთარი შეხედულებები. ყველა ადამიანის უმნიშვნელოვანესი სამოქალაქო ვალია არჩევნებში მონაწილეობა და საკუთარი შეხედულებებისამებრ ხმის მიცემა. ჩართულობის აქტიურ ფორმას წარმოადგენს სამოქალაქო საზოგადოების წევრობა და სხვადასხვა ღონისძიებაში მონაწილეობის მიღება. დემოკრატიის პირობებში ჩართულობა არის მოხალისეობრივი, მას არ უნდა განსაზღვრავდეს რაიმე ფორმით იძულება და არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ადამიანების ნებას. დე-

მოკრატიისათვის აუცილებელია პოლიტიკური პარტიების არსებობა. დემოკრატია ძლიერია, მაშინ როდესაც მოქალაქეები ხდებიან პოლიტიკური პარტიების აქტიური წევრები. პოლიტიკური პარტიების მხარდაჭერა ან წევრობა არ უნდა ხდებოდეს ზეწოლით ან დაშინებით, არამედ იგი უნდა ეფუძნებოდეს ადამიანების თავისუფალ არჩევანს. ჩართულობა თავის მხრივ აუცილებელია, რომ იყოს მშვიდობიანი, კანონის შესაბამისი და ტოლერანტული სხვადასხვა ჯგუფის ადამიანების მიმართ.

საქართველოში ჯერ ჯიდევ ბევრია გასაკეთებელი მოქალაქეების ჩართულობისა და ცნობიერების ამაღლების მხრივ. სახელმწიფომ ხელი უნდა შეუწყოს მოქალაქეების ჩართულობის გაზრდას, უზრუნველყოს მათი ინფორმირებულობა და საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. მნიშვნელოვანია სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის მხარდაჭერა სხვადასხვა სექტორზე სამოქალაქო კონტროლის გასაძლიერებლად. ყოველივე გაზრდის გამჭვირვალობის დონეს და სახელმწიფო ინსტიტუტებს მიეცემათ საშუალება გამოავლინონ მათ წინაშე არსებული პრობლემები და გამოწვევები, რათა დროულად შეძლონ თავიანთი სტრატეგიის, პოლიტიკისა და სამოქმედო გეგმის გადახედვა და ცვლილებების შეტანა. ხელისუფლებამ უნდა უზრუნველყოს სამოქალაქო საზოგადოებისა და პოლიტიკური პარტიების სიცოცხლისუნარიანობის განმტკიცება, რათა მათ შეძლონ თავიან საქმიანობაში თავისუფლების, მიუკერძოებლობისა და გამჭვირვალობის შენარჩუნება.

დემოკრატიის შეფასების უმთავრეს კრიტერიუმს წარმოადგენს ქვეყნის მიერ ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დაცვა, რომელიც ამავე დროს გარანტირებულია საერთაშორისო კანონმდებლობით. ქვეყანამ უნდა უზრუნველყოს მოქალაქეების გამოხატვის, რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლების დაცვა. ყველა ადამიანის ფუნდამენტურ უფლებას განეკუთვნება საკუთარი კულტურის შენარჩუნება. მნიშვნელოვანია მასმედიის თავისუფლებისა და პლურალიზმის უზრუნველყოფა, რათა ადამიანებმა შეძლონ საკუთარი სურვილისამებრ საინფორმაციო წყაროების შერჩევა და ინფორმაციის გაზიარება. ადამიანის უფლებაა სხვადასხვა პროფილის ორგანიზაციების შექმნა, საკუთარი სურვილისამებრ პოლიტიკურ პარტიასა და პროფკავშირებში გაწევრიანება. ადამიანის უფლებაა ქვეყნის შიგნით და სურვილის შემთხვევაში მის საზღვრებს გარეთ თავისუფალი გადაადგილება. დემოკრატიის პირობებში არ უნდა იზღუდებოდეს ადამიანების მიერ მთავრობის საქმიანობის გაპროტესტება. ყველა მხარის მოქმედება უნდა ეფუძნებოდეს მშვიდობიან და კანონიერ ქმედებებს, რომელიც არ ზღუდავს სხვის უფლებებს.



დემოკრატია არის სისტემა, რომელიც უნდა იმართებოდეს კანონებით და არა ინდივიდების მიერ, ამიტომაც დემოკრატიის შეფასებისას კანონის უზენაესობა უმნიშვნელოვანეს კრიტერიუმს წარმოადგენს. თავად კანონის უზენაესობა იცავს მოქალაქეების უფლებებს, ამტკიცებს წესრიგს და ზღუდავს მთავრობის ძალაუფლებას. ყველა მოქალაქე თანასწორია კანონის წინაშე. დაუშვებელია თვითნებურად ადამიანების დაკავება ან დაპატიმრება. დაკავების შემთხვევაში, ადამიანს უფლება აქვს, რომ გაიგოს ბრალი და ისარგებლოს უდანაშაულობის პრეზუმპციით, ბრალის საბოლოოდ დადგენამდე. ყველა ადამიანს უფლება აქვს, რომ ისარგებლოს სამართლიანი და მიუკერძოებელი სასამართლოთი. დემოკრატიისათვის უზენაესია კანონი, რომელიც ნებისმიერ არჩეულ პირზე მაღლა დგას. სწორედ ამიტომ კანონის უზენაესობა ზღუდავს მთავრობის ძალაუფლებას და არცერთი მაღალი რანგის პირს არა აქვს მისი დარღვევის, ასევე საკუთარი ნებით უფლებამოსილების გაზრდის უფლება. დემორატიული საზოგადოების უმთავრესი ფასეულობაა დამოუკიდებელი და მიუკერძოებელი სასამართლო. არავის არა აქვს უფლება ჩაერიოს სასამართლოს საქმიანობაში და უკარნახოს მოსამართლეს, თუ როგორ გადაწყვიტოს საქმე.

საქართველოში აღმასრულებელი ხელისუფლების გაძლიერებამ და ძალაუფლების ერთ ვერტიკალში გადატანამ სერიოზულად დაასუსტა სასამართლოს თავისუფლების ხარისხი და საკანონმდებლო ორგანოს შესაძლებლობები. ყოველივემ ხელი შეუწყო ქვეყანაში „კვაზი დემოკრატიის“ განვითარებას, რაც აისახა ადამიანის უფლებების დაცვასა და კანონის უზენაესობის ხელყოფაში. სასამართლოს მუშაობაში გარე ჩარევებმა და კანონის უზენაესობის ხელყოფამ ქვეყანაში გააჩინა შერჩევითი სამართალი და შესაბამისად მოქალაქეებში მართლმსაჯულების მიმართ უნდობლობა. საქართველოში სასამართლოს თავისუფლება და მიუკერძოებლობა საერთაშორისო და ადგილობრივი საზოგადოების მუდმივი კრიტიკის საგანს წარმოადგენს. ქვეყნის დემოკრატიული განვითარებისათვის აუცილებელია პოლიტიკური ნების არსებობა და ქმედითი ნაბიჯების გადადგმა სასამართლოს თავისუფლების განსამტკიცებლად, რათა კანონი გახდეს უზენაესი და მოქალაქეებმა შეძლონ სასამართლოს მეშვეობით საკუთარი უფლებების დაცვა.

ქვეყნის დემოკრატიული აღმშენებლობა დამოკიდებულია არა მარტო ხელისუფლებაზე, არამედ საზოგადოების თითოეულ წევრზე. მნიშვნელოვანია, რომ ადამიანებს ჰქონდეთ კანონმორჩილების განცდა. ტოლერანტული საზოგადოება მოითხოვს განსხვავებული აზრის მოსმენასა და პატივისცემას. დაუშვებელია განსხვავებული აზრის გამო ოპონენტების დევნა. აუცილებელია საკუთარი ჩართულობის გაზრდა და მთავრობის ქმედებებზე თვალის მიდევნება. აზრის გამოთქმა არ უნდა აბრკოლებდეს სხვისი აზრის გამოთქმის საშუალებას. ცუდია, როდესაც ადამიანი დაჯერებულია საკუთარ სიმართლეში და განხილვის ღირსადაც არ თვლის სხვის პოზიციას. დემოკრატია არ ითვალისწინებს ყველა სუბიექტის მოთხოვნის აღსრულებასა და დაკმაყოფილებას, არამედ იგი ეფუძნება კომპრომისების მიღწევას. განსხვავებული ინტერესებისა და შეხედულებების მქონე სუბიექტებმა აუცილებელია, რომ გამონახონ დიალოგის წარმოების კეთილი ნება. დემოკრატია არ ითვალისწინებს ყოველთვის და ყველა გარემოებაში ერთი ჯგუფის გამარჯვებას. აუცილებელია საკითხების მიხედვით სხვადასხვა ჯგუფის შეთანხმება, რაც საბოლოოდ საზოგადოების გამარჯვებაში აისახება. საზოგადოების ამა თუ იმ ჯგუფის გარიყვა და იგნორირება ზიანს აყენებს დემორატიას, რაც ზრდის ადამიანების გაღიზიანებასა და იმედგაცრუებას ხელისუფლების მიმართ.






## სამართლიანობა და მშვიდობიანი თანაცხოვრება

ადამიანების შინაგანი და გარეგანი კულტურა, საჭიროებები და ცვლადი ინტერესები განაპირობებს მათ ერთიანობასა და დისინტეგრაციას. ხშირად ვფიქრობთ ადამიანებს შორის უთანხმოებისა და დაპირისპირების წარმოშობის მიზეზებზე, რაც შეიძლება უკავშირდებოდეს: ადამიანურ შეუთავსებლობას, კლასობრივ და რასობრივ სხვაობას, განსხვავებულ პოლიტიკურ შეხედულებებს, სექსუალურ ორიენტაციას, რელიგიურ აღმსარებლობას, საპირისპირო სიმბოლიკებს, ინსტიტუციურ მოწყობას, უსამართლობის განცდასა და სიმდიდრის განაწილებას. ადამიანებს შორის ბევრი განსხვავების მიუხედავად არსებობს საერთო, რაც განაპირობებს მათ ერთად თანაცხოვრებასა და გაერთიანებას. ერად ფორმირების საფუძველი შეიძლება იყოს: ენა, რელიგია, ისტორია, ინსტიტუციური მოწყობა და ეკონომიკური სივრცე. გამაერთიანებელი ფაქტორები განსხვავებულია ყველა ერისათვის და იგი შეიძლება მოიცავდეს ერთი ან რამდენიმე მახასიათებლის ერთობლიობას.

საუკუნეების მანძილზე განსხვავებული რელიგიების დაპირისპირება წარმოადგენდა ომების ძირითად მიზეზს. პარალელურად მრავლად იყო ომები საერთო რელიგიის მქონე ერებს შორის. ქრისტიანული სამყაროს ერთობას ძირს უთხრიდა ჰეგემონიისათვის დასავლური იმპერიების მუდმივი ბრძოლა, კულტურული და რელიგიური შეუთავსებლობა. მუსულმანური სამყარო ადვილად ახერხებდა რელიგიის ირგვლივ გაერთიანებას, რაც ზრდიდა მათ ნდობას, მასშტაბებსა და ფსიქოლოგიურ განწყობას საერთო ძალებით ებრძოლათ მტრის წინააღმდეგ. თუმცა ბოლომდე ვერც მუსულმანური სამყარო ინარჩუნებდა ერთობას, რაც განპირობებული იყო შიდა რელიგიური დაყოფითა და დინასტიების დაპირისპირებით.

საქართველოს ისტორიამ შემოინახა ქვეყნის დაყოფისა და გაერთიანების მრავალი მაგალითი. თუ გადავხედავთ საქართველოს ბოლო ათწლეულების ისტორიას დავრწმუნდებით, რომ გვმართებს შესაბამისი მუშაობა სახელმწიფოებრივი აზროვნებისა და ინსტიტუციური მიდგომების ჩამოსაყალიბებლად. ერთიანობისათვის აუცილებელია ტოლერანტული და სოლიდარული საზოგადოების ფორმირება, რომელიც უარს იტყვის რადიკალიზმსა და ყოველგვარ ქსენოფობიურ გამოვლინებებზე.

დამოუკიდებლობის მოპოვების დღიდან დაქსაქსულობამ და გაუაზრებელმა მმართველობამ ქვეყანას მოუტანა სისხლიანი გადატრიალება, სამოქალაქო ომი და ეთნიკური კონფლიქტები. ყოველივეს დაერთო რეჟიმის შეცვლის მოთხოვნით გაუთავებელი საპროტესტო აქციები და შეიქმნა პრეცენდენტი უსისხლო რევოლუციით რეჟიმის შეცვლის. ყოველივე ამის მიზეზი გახდა უსამართლობა, გადაჭარბებული ძალაუფლებისაკენ სწრაფვა და არჩევანის თავისუფლების ხელყოფა. აქედან გამომდინარე ბუნებრივია ხალხის უკმაყოფილება და ხელისუფლების შეცვლის მოთხოვნით ქუჩაში გამოსვლა. უსამართლობა თავად აკარგვინებს ადამიანს სამართლის პატივისცემის სურვილს და უბიძგებს რადიკალური ქმედებებისაკენ. ეს არის ხელისუფლებისა და მოქალაქეების გაუცხოების შედეგი, რომელიც მიმართულია ურთიერთდაპირისპირებისაკენ. ცუდ შედეგამდე მივყავართ, როდესაც ადამიანები კარგავენ სახელმწიფოს მიმართ ნდობას. ტყუილი და უნდობლობა მხარეებს აკარგვინებს დიალოგის სურვილს და უაზროს ხდის მის წარმართვას. აზრი არა აქვს ისეთ ადამიანებთან საქმის დაჭერა თუ დარწმუნებული ხარ, რომ მოგატყუებენ. ამ პირობებში აუცილებელია პირველ რიგში არ მოიტყუო საკუთარი თავი და სხვასაც არ მისცე



მოტყუების საშუალება. ბოროტი საქმე არასდროს არ იცვლის ფერს და რაოდენ მომხიბვლელიც არ უნდა იყოს იგი ვერასდროს მოგვცემს კარგ შედეგს. სამართლიანობისათვის ბრძოლა გაგრძელდება მანამ, სანამ პირველიდან დაწყებული რიგითით დამთავრებული ვერ გაითავისებს მის მნიშვნელობას. ადამიანი კანონის ფარგლებში შესაძლებელია დაისაჯოს ძალის გამოყენებით, მაგრამ ყოველივე არ უნდა ლახავდეს მის ღირსებასა და პატივმოყვარეობას; არ უნდა ამონებდეს და თრგუნავდეს მასში ბრძოლის ჟინს. კანონი უნდა იყოს მხოლოდ და მხოლოდ პასუხი მოქალაქეების გადაცდომაზე.

ქვეყანაში მოქალაქეების მშვიდობიანი თანაცხოვრებისათვის აუცილებელია სამართლიანობის დამკვიდრება. თუ საზოგადოებაში დაქვეითებულია სამართლიანობის განცდა და სიმართლე იზომება საკუთარი გადმოსახედიდან, საკუთარი ძალაუფლებით, ეს ადრე თუ გვიან აუცილებლად გამოიწვევს დაპირისპირებას და რაც უფრო მეტი ნეგატიური მუხტი აკუმულირდება, მით მეტი დამანგრეველი ეფექტი ექნება მას. სამწუხაროდ, საქართველოში ბევრი ადამიანი განიცდის არა უსამართლობას, არამედ იმას, რომ თავად არ მონაწილეობს უსამართლობაში. საზოგადოების მშვიდობიანი თანაცხოვრებისათვის აუცილებელია ჩართულობა, თანამონაწილეობა და იმის შეგრძნება, რომ საერთო საქმეში თითოეულ ადამიანს შეაქვს წვლილი. არ უნდა იწვევდეს ჩვენს გაკვირვებას რიგი ადამიანების მიერ საზოგადოებრივი პროდუქტის მიმართ ბარბაროსული მოპყრობა. იმის დაზიანება, რომელიც ჩვენ ყველას თანაბრად გვეკუთვნის და რომელშიც საერთო ფული იხარჯება. უმთავრესია ავამაღლოთ მათი თვითშეგნება და ჩართულობა, რათა ადამიანმა შეიმეცნოს საკუთარი როლი და არ იყოს დამკვირვებლის პოზიციაში. აღნიშნული სახით ადამიანების გაუცხოება წარმოადგენს პროტესტის ფორმას, რომელსაც კრიტიკასთან ერთად ესაჭიროება სათანადო გააზრება და ქმედითი ნაბიჯების გადადგმა.

მშვიდობიანი თანაცხოვრებისათვის აუცილებელია მუდმივი დიალოგის რეჟიმში კომპრომისული გზების ძიება, რაც ჩვენდა სამწუხაროდ რთულად შესასრულებელ ფენომენად იქცა. თუ ოჯახის წევრებს უჭირთ ერთმანეთთან დიალოგი და კომპრომისის მიღწევა, მაშინ დარწმუნებული უნდა ვიყოთ, რომ მათ კიდევ უფრო გაუჭირდებათ კომპრომისის მიღწევა სხვებთან. რამდენადაც მტკივნეული არ უნდა იყოს ქართველებს გვიჭირს ამის გაკეთება, რადგან ვხედავთ მარტივ გამოსავალს ძალაუფლების ბოროტად გამოყენებასა და საქმის ერთპიროვნულ გადაწყვეტაში.

2008 წლის ომმა დაგვანახა თუ რაოდენ არ შეგვწევდა საკუთარი სამშობლოსა და მოქალაქეების დაცვა. მზად ვიყავით ნებისმიერ გარემოებებში გვეწარმოებინა მოლაპარაკებები, რათა მიგვეღწია კომპრომისისათვის და დაგვეხსნა სამშობლო სრული ოკუპაციისაგან. მაშინ როდესაც ძალიან გაგვიჭირდა დავიწყეთ სიმართლეზე, სამართლიანობასა და კომპრომისებზე საუბარი. აუცილებელია ეს ავად სახსენებელი მაგალითი გახდეს ჩვენთვის ჭკუის სასწავლებელი, რათა სხვა დროს ერთმანეთის მიმართ ვიყენებდეთ ურთიერთობის ცივილიზებულ ფორმებს.

ქვეყნის განვითარებისა და სიცოცხლისუნარიანობის უზრუნველსაყოფად აუცილებელია ვისწავლოთ ურთიერთგატანა და კომპრომისი. შიდა დაპირისპირებებმა ძალზედ დიდი სირთულეები წარმოშვა საქართველოში, მაგრამ მიუხედავად ამისა მავანმა მაინც ვერ შეძლო საზოგადოების საბოლოოდ გაუცხოება. აფხაზებთან და ოსებთან კონფლიქტების მოგვარების უმთავრეს წინაპირობას პირველ რიგში საკუთარი თავის მოწესრიგება და ქვეყანაში სამართლიანობის უზრუნველყოფა წარმოადგენს. მათ აუცილებლად გაუჩნდებათ კითხვა, როგორ შეძლებენ ქართველებთან მშვიდობიან თანაცხოვრებას თუ დაინახავენ, რომ ქართველებს ერთმანეთში არ ძალუძთ ცივილიზებულად კომპრომისების მიღწევა. ყველა ადგილიდან სიმართლეს თავისი გადმოსახედი აქვს და უპირველესყოვლისა გვმართებს მისი სათანადოდ გააზრება.






## ომი თუ წარსულთან შეხვედრა

„ვისაც არ ახსოვს ისტორია განწირულია
ხელმეორედ იწვნიოს წარსული“
**ჯორჯ სანტაიანა**

*“The one who does not remember history
is bound to live through it again”*
**George Santayana**

წარსული ხშირად მეორდება, რაც გვახსენებს ისტორიას და ითხოვს ჩვენგან სათანადო გაანალიზებას. პრობლემების წამოჭრისას ვცდილობთ მოვლენები დავუკავშიროთ ერთმანეთს, გავამყაროთ საკუთარი არგუმენტები და მოვუძებნოთ შესაბამისი ახსნა. რუსეთ–საქართველოს ომი არის ამის ნათელი მაგალითი და დღემდე აქტუალურია იმაზე საუბარი, თუ ვინ და რამ განაპირობა ომის დაწყება. თუ ისტორიას დავეყრდნობით დავინახავთ, რომ ომი ემსახურებოდა იმპერიის შორს მიმავალ მიზნებს, რომლითაც ცდილობდა ამავე დროს სხვადასხვა საკითხის გადაფარვას.

განსხვავებულია საქართველოსა და რუსეთის შეხედულებები ომის დაწყებასთან დაკავშირებით. ლოგიკურად კონფლიქტის ორივე მხარე ადანაშაულებს ერთმანეთს, ქმნის საკუთარ არგუმენტებს და გამასამართლებელ მიზეზებს. საინტერესოა მესამე მხარის ხედვა ომის დაწყებასთან დაკავშირებით, რაც მდგომარეობს სხვადასხვა სახით ორივე მხარის დადანაშაულებაში. მესამე მხარე მაქსიმალურად შეეცადა ეტვირთა შუამავლის როლი, რაც გამოიხატა რუსეთის აგრესიის დაგმობაში, საქართველო კი დაადანაშაულა იმაში, რომ ფართომასშტაბიანი სამხედრო მოქმედებით უპასუხა დაგეგმილ პროვოკაციას. შემთხვევითი არ ყოფილა რიგი დასავლური მედიის მიერ საქართველოს დადანაშაულება „გაუმართლებელი“ (BBC News 2009) ომის დაწყებაში, რაც შესაბამისად აისახა 2008 წლის აგვისტოს მოვლენების გამომწვევი მიზეზების შემსწავლელი საერთაშორისო კომისიის დასკვნაშიც (BBC News 2009). მსოფლიოში ზოგადად ადამიანებს არა აქვთ იმის დრო და საშუალება, რომ ჩაწვდნენ ყველა კონფლიქტის არსს. ისინი ადვილად იმახსოვრებენ მხოლოდ ახალი ამბების მთავარ გზავნილებს. ჩვენს შემთხვევაში იმას, რომ საქართველოს შეიარარებულმა ძალებმა დაიწყეს ფართომასშტაბიანი სამხედრო ოპერაცია, განდგომილ რეგიონზე კონტროლის დამყარების მიზნით. ყოველივე ეს კი ქმნის ქვეყნის მიმართ სტერეოტიპებსა და არასიღრმისეულ სურათს. ამის პარალელურად რთულია მსოფლიო საზოგადოებას აუხსნა შენი პოზიცია, ის რომ პრობლემას ქმნის რუსეთი, საქართველოს ტერიტორიაზე ახდენს პოლიტიკურ და სამხედრო ინტერვენციას, ხელს უწყობს ქართველების ეთნიკურ წმენდას, ეწევა რეგიონების მილიტარიზაციას და შეუძლებელს ხდის საერთაშორისო საზოგადოებისათვის არსებული ტერიტორიების კონტროლს.

ბევრი შეიძლება ვისაუბროთ საქართველოს მიერ დაშვებულ შეცდომებზე, მაგრამ რეალურად თუ ამ ლოგიკას გავყვებით საქართველოს შეცდომას წარმოადგენს ის, რომ ქვეყანას არა აქვს უფლება აგრესიის შემთხვევაშიც კი დაიცვას საკუთარი მოქალაქეების სიცოცხლე და მშვიდობიანი არსებობა. ასე მაგალითად, რუსეთის პრეზიდენტი დიმიტრი მედვედევი ვერ ხედავს რაიმე საერთოს გროზნოსა და ცხინვალში დაწყებულ საომარ კამპანიებს შორის. მისი თქმით, რუსეთი საქართველოსაგან განსხვავებით არ იყო დაკავებული საკუთარი ხალხის განადგურებით, ისინი უბრალოდ ამყარებდნენ წესრიგს და ებრძოდნენ ბანდიტებს, რომლებიც განსხვავებული ლოზუნგების ქვეშ ებრძოდნენ კონსტიტუციურ ხელისუფლებას (Президент России 2011). ცინიკურია ბანდიტებთან ბრძოლას შეადარო რუსეთის მიერ ჩეჩნეთის ტერიტორიაზე განხორციელებული ფართომასშტაბიანი ომი, რომლის შედეგათაც დაიღუპა 30000-40000 მშვიდობიანი მოქალაქე, ასობით ათასი დაიჭრა, 270 000 ადამიანი დევნილობაში გაიხიზნა ინგუშეთსა და დაღესტანში, 100 000 კი ევროკავშირის ქვეყნებში (ENPI 2010).

რუსეთის მთავარი არგუმენტი, რომ 2008 წლის აგვისტოს ომში ქართველების მიერ  ცხინვალში მოკლული იქნა 2000 ადამიანი, დღეს უკვე სრულიად უსაფუძლოა, მათ შორის რუსეთის პრეზიდენტისათვის (Президент России 2011). აღნიშნული, რომ სიმართლე ყოფილიყო რუსეთი ბოლომდე მიიყვანდა დაწყებულ საქმეს და ჰააგის ან საკუთარ ტრიბუნალს გადაცემდა ქართველი მაღალჩინოსნების საქმეებს, ისე როგორც ეს მოხდა იუგოსლავიის შემთხვევაში. დეტალურად გამოიძიებდნენ ყოველი ადამიანის ბედს, გამოყენებული იარაღის სახეობას, მოქმედების მეთოდებს და მისცემდნენ სათანადო პოლიტიკურ შეფასებას. დღეს, როდესაც სახეზე გვაქვს ომის შედეგები, მსხვერპლთა სია, დამატებით დაკარგული ტერიტორიები, საკუთარი სახლებიდან გამოძევებული მოსახლეობა და ქართველთა ბარბაროსულად განადგურებული ქონება ძნელია მოძებნო ძალა, რომელიც ყოველივეს მისცემს სათანადო მსვლელობას და აღასრულებს პოლიტიკურ გადაწყვეტილებას.

ომის მიზეზებზე საუბარი მოითხოვს სხვადასხვა პარადიგმის განხილვას. რა ამოძრავებდა რუსეთს აგვისტოს ომის დროს – საკუთარი მოქალაქეების დაცვა, თუ გავლენის სფეროს გაფართოება და რეგიონზე სრული კონტროლის დამყარება. შემთხვევითობას ვერ მივაწერთ ომის პერიოდში გაეროს უშიშროების საბჭოს საგანგებო სხდომაზე გაეროში აშშ–ს ელჩის მიერ გაკეთებულ განცხადებას, რამაც ფარდა ახადა კონდოლიზა რაისსა და ლავროვს შორის სატელეფონო ლაპარაკს, რომლის დროსაც რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა პირდაპირ განუცხადა თავის ამერიკელ კოლეგას საქართველოში რეჟიმის შეცვლის აუცილებლობაზე (CNN 2008).

2011წლის 5 აგვისტოს ინტერვიუში რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა ორაზროვნად ისაუბრა 2008 წელს საქართველოში რუსეთის მიერ წარმოებულ საომარ მოქმედებაზე. მისი თქმით სამხედრო ოპერაციის – „მშვიდობის იძულება“ მიზანი არ ყოფილა თბილისის აღება, მაგრამ აქვე ისიც დასძინა, რომ სააკაშვილი მადლიერი უნდა იყოს პირადად მისი, რადგან რაღაც მომენ-

ტში მან გააჩერა ჯარი, რომლის თბილისში შესვლის შემთხვევაში საქართველოს ეყოლებოდა სხვა პრეზიდენტი. მართლაც საერთაშორისო ზეწოლის შედეგად რუსეთმა ვერ შეძლო საკუთარი ამოცანის სისრულეში მოყვანა – ქვეყნის სრული ანექსია, მარიონეტული ხელისუფლების დასმა, ქვეყნის მეტად დაქუცმაცება და რეგიონზე სრული კონტროლის დამყარება. სრული ანექსიის შემთხვევაში დიდი შესაძლებლობა იყო საქართველოს გარკვეულ რეგიონებს მიეღოთ ავტონომიის სტატუსი, ჩამოყალიბებულიყო კონფედერაციული მმართველობა დაყავი და იბატონეს პრინციპით.

დღეს, როგორც არასდროს ორაზროვანია რუსეთის პოლიტიკა საქართველოსთან მიმართებაში. რუსეთი ერთის მხრივ გამოთქვამს სურვილს, რომ აღადგინოს საქართველოსთან კეთილმეზობლური ურთიერთობა, მაგრამ აქვე დასძენს, რომ არაფერს შეცვლის ახალი რეალობების მიმართ, რაც მდგომარეობს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარების უკან წაღებაში.

რუსეთი არ იძლევა, იმის გარანტიას, რომ დაეხმარება საქართველოს პრობლემების გადაწყვეტაში, რაც ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასა და დევნილების დაბრუნებას უკავშირდება. უფრო მეტიც, კრემლი განაგრძობს აღიარების პოლიტიკის ხელშეწყობასა და ოკეანეთის კუნძულ-სახელმწიფოების დაყოლიებას.

რუსეთის პოლიტიკური ისტებლიშმენტი მიესალმება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთისათვის გამოყოფილ ფინანსურ დახმარებას, რადგან მათი აზრით ისინი ეხმარებიან უპირველესყოვლისა საკუთარ მოქალაქეებს და არ გამორიცხავენ უახლოეს მომავალში მათი მიერთების საკითხს.

ეს და სხვა მრავალი არის ის რეალობა, რომლის გათვალისწინებაც მოუწევს საქართველოს ნებისმიერ ხელისუფალს რუსეთთან ურთიერთობის დაწყების წინ. მთავარია გვახსოვდეს რუსეთთან ურთიერთობის ისტორიული გამოცდილება, სწორად განვსაჯოთ არსებული, რათა მომავალში კვლავ არ მოგვიწიოს წარსული შეცდომების გამეორება.



## რუსეთთან ურთიერთობა და ეროვნული ინტერესები

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობები ნეგატიური მიმართულებით განვითარდა, რამაც ეტაპობრივად გააფართოვა დაძაბულობის სპექტრი და საბოლოოდ 2008 წლის აგვისტოს ომამდე მიგვიყვანა. ათწლეულების მანძილზე რუსეთი ცდილობდა ხელის გადაგრეხის პოლიტიკით საქართველოს დანებების ნიშნულამდე მიყვანას და მიზნის მისაღწევად აქტიურად იყენებდა როგორც სამხედრო, ასევე ლიბერალური იმპერიალიზმის ბერკეტებს. სეპარატისტული რეგიონების სამხედრო და პოლიტიკური დახმარებით რუსეთი ძირს უთხრიდა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, სტაბილურობას, სახელმწიფოებრიობის განმტკიცებასა და დასავლურ ორგანიზაციებში ქვეყნის შესაძლო გაწევრიანებას. კრემლი ერთის მხრივ მართავდა მარიონეტულ რეჟიმებს, მეორეს მხრივ თავად ითავსებდა მომრიგებლის უალტერნატივო ფუნქციებს, ბლოკავდა რა პრობლემების დარეგულირებაში დასავლეთის მონაწილეობის გაზრდას. რუსეთი არაკეთილსინდისიერად ასრულებდა აღებულ ვალდებულებებს და არათანასწორი მოლაპარაკებების ლაბირინთებში შეჰყავდა ქვეყანა, საიდანაც წაგებული ყოველთვის საქართველო გამოდიოდა.

1992 წელს საქართველოში პრეზიდენტ ზვიად განსახურდიას ჩამოგდება და გადატრიალების შემდგომ პუტჩისტების მიერ სახელმწიფო საბჭოს ხელმძღვანელად ედუარდ შევარდნაძის დანიშვნა კარგი ნიშანი უნდა ყოფილიყო რუსეთისათვის ურთიერთობების დალაგების თვალსაზრისით. ეროვნული მოძრაობის ლიდერის საბჭოთა ბიუროკრატით ჩანაცვლება აუცილებლად უნდა გამოდგომოდა რუსეთს საკუთარი ინტერესების გასატარებლად. გამსახურდიასაგან განსხვავებით შევარდნაძე ხომ კარგად იცნობდა კრემლის შიდა სამზარეულოს, პოლიტიკის ფორმირებისა და განხორციელების მექანიზმებს; ბიუროკრატიას და მის უმაღლეს ხელმძღვანელ პირებს. თავის მხრივ კრემლსაც გათვითცნობიერებული ჰქონდა შევარდნაძის პიროვნული ფაქტორები და გულუბრყვილობა იქნება თუ საქართველოში შევარდნაძის ჩამოსვლას არ დაუკავშირებთ მისდამი მოსკოვის მხარდაჭერას. მიღებული უპირატესობის მიუხედავად კრემლმა არაფრად ჩააგდო შევარდნაძესთან ძველი ნაცნობობა. პი-

რიქით, მოსკოვმა გააძლიერა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში სეპა-რატისტული მოძრაობების მხარდაჭერა და საბრძოლო მოქმედებე-ბის შესაჩერებლად მიღწეული შენიღბული შეთანხმებებით ხელი შეუწყო აფხაზეთიდან ქართული შეიარაღებული ძალების განდევ-ნასა და ქართველების ეთნოწმენდას.

აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების მშვიდობიანი დარეგულირების პროცესს რუსეთი განიხილავდა როგორც სა-ქართველოს ქვეყნის შიგნით არსებულ პრობლემას და თავად, როგორც გარანტორი იზიარებდა შეთანხმებებით აღებულ პასუ-ხისმგებლობას.

1992 წელს სამხრეთ ოსეთში სიტუაციის ესკალაციას მოჰყვა ამავე წლის 24 ივნისის სოჭის (დაგომისის) შეთანხმება, რომლის უმთავ-რეს მიზანს წარმოადგენდა ცეცხლის შეწყვეტა და ქართულ–ოსური კონფლიქტის დარეგულირება, კერძოდ, კონფლიქტის ზონის დე-მილიტარიზაცია, მათ შორის ცხინვალში ბაზირებული რუსეთის შეიარაღებული ძალების ნაწილების გაყვანა; ცეცხლის შეწყვეტაზე კონტროლის დამყარების უზრუნველსაყოფად მხარეების მიერ შე-რეული სამშვიდობო კომისიის შექმნა; მშვიდობისა და წესრიგის განსამტკიცებლად მხარეების მიერ შერეული ძალების ჩამოყალი-ბება (იხ. დანართი 1). შეთანხმებას ხელი მოაწერეს საქართველოსა და რუსეთის უმაღლესმა ხელმძღვანელმა პირებმა, რამაც ავტომა-ტურად მიანიჭა რუსეთს მხარის სტატუსი. ხელმოწერის დღიდან მოყოლებული შეთანხმება ატარებდა ცალმხრივ ხასიათს და რე-დაქტირდებოდა ოსური მხარის სასრგებლოდ. 1994 წელს სამხრივ ფორმატში შერეულ სამშვიდობო კომისიას (საქართველო, რუსეთი და ჩრდილო ოსეთი) დაემატა სამხრეთ ოსეთი, რაც მიზნად ისა-ხავდა რუსეთის მიერ მოლაპარაკებებში სამხრეთ ოსური მხარის ოფიციალურად ჩართვას და საკუთარი პასუხისმგებლობის მასზე დელეგირებას. შეთანხმებამ ვერ უზრუნველყო რეგიონის სტაბი-ლურობა, ქართველებისა და ოსების მშვიდობიანი თანაცხოვრება, იძულებით გადაადგილებულ პირთა დაბრუნება და რაც მთავარია, რეგიონის სტატუსის განსაზღვრა და კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირება. კრემლი წლების განმავლობაში რეგიონზე კონ-ტროლის გასამყარებლად აძლევდა ადგილობრივ მოსახლეობას რუსეთის მოქალაქეობას, ნიშნავდა პოლიტიკურ და სამხედრო თა-ნამდებობებზე საკუთარ მოქალაქეებს, მოქმედებდა ორმაგი სტან-დარტებით, რამაც გაზარდა სეპარატისტების აგრესია და დაუს-ჯელობის განცდა. რუსეთის მიერ შეთახმებით აღებული ვალდე-ბულებების შეუსრულებლობამ საბოლოოდ მიგვიყვანა 2008 წლის მოვლენებამდე, რამაც საბოლოოდ გამოააშკარავა კონფლიქტის რე-ალური მხარის ვინაობა.

აფხაზეთში საომარი ვითარების პერიოდში რუსეთი ერთდროუ-ლად ითავსებდა მომრიგებლისა და კონფლიქტის მხარის ფუნქცი-ებს. რუსეთი აძლიერებდა სეპარატისტების სამხედრო ძალას და მისი შეიარაღებული ძალები თავადაც მონაწილეობდნენ საბრძო-ლო მოქმედებებში. კრემლმა მოლაპარაკებების გზით მწვანე შუქი აუნთო აფხაზეთში ქართველების ეთნიკურ წმენდას, რადგან ცეცხ-ლის შეწყვეტის შესახებ მიღწეული შეთანხმებები რეალობაში წარ-მოადგენდა რუსეთის მიერ გამოგონილ სიცრუის მანქანას.

1992 წლის 3 სექტემბერს, მოსკოვში მიღწეული იყო შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტასთან დაკავშირებით. დოკუმენტს მხარეების სა-ხით ხელი მოაწერეს რუსეთის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა და საქართველოს სახელმწიფო საბჭოს მეთაურმა ედუარდ შევარდნა-ძემ. შეხვედრას ესწრებოდნენ როგორც აფხაზეთის სეპარატისტუ-ლი და ლეგიტიმური ხელისუფლების წარმომადგენლები, ასევე ორივე ქვეყნის დელეგაციის წევრები, რომლებმაც დააფიქსირეს თანხმობა მიღწეული შეთანხმების მიმართ. შეთანხმებაში ჩაიდო საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფა; უკანონო შეიარაღებული ფორმირებების განიარაღება და აფხაზე-თიდან გაყვანა; შეუფერხებელად და უსაფრთხოდ სარკინიგზო და სხვა სახის ტრანსპორტის გადაადგილება; დევნილთათვის დაბრუ-ნების პირობების შექმნა. რუსეთმა ასევე აიღო ვალდებულება სა-ქართველოს ტერიტორიაზე განლაგებულ მის ჯარებს შეენარჩუნე-ბინათ მკაცრი ნეიტრალიტეტი და არ ჩარეულიყვნენ ქვეყნის შიდა კონფლიქტში (იხ. დანართი 2). ხელმოწერიდან ერთი თვის თავზე სეპარატისტულმა რეჟიმმა უხეშად დაარღვია მიღწეული შეთანხ-მება, რასაც მოჰყვა მათ მიერ გაგრის ზონის დაკავება და ქართველე-ბის ეთნიკური წმენდა.

1993 წლის 27 ივლისს, სოჭში შედგა მორიგი შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტისა და მის შესრულებაზე კონტროლის მექანიზმების შე-სახებ. დოკუმენტს ხელი მოაწერეს საქართველოს, რუსეთისა და აფხაზეთის წარმომადგენლებმა და ამჯერად შეთანხმებაში დაფიქ-სირდა ქართული და აფხაზური მხარე. შეთანხმება ეფუძნებოდა ცეცხლის შეწყვეტას და ძალის გამოუყენებლობას; ქართულ–აფხა-ზურ–რუსული დროებითი საკონტროლო ჯგუფების შექმნას; სა-

ერთაშორისო სადამკვირვებლო და სამშვიდობო ძალების მოწვევას; კონფლიქტის ზონის დემილიტარიზაციას და ცეცხლის შეწყვეტიდან 10-15 დღის განმავლობაში საქართველოს შეიარაღებული ფორმირებების გაყვანას; მაგისტრალური ხაზების კონტროლს; აფხაზური შენაერთების შინაგან ჯარებში შეყვანას და ყაზარმულ მდგომარეობაში გადაყვანას; ერთობლივი მილიციის შექმნას; დევნილთა დასაბრუნებლად ზომების მიღებას; ლეგიტიმური სახელმწიფო ორგანოების ნორმალური ფუნქციონირების აღდგენას (იხ. დანართი 3). აღნიშნული შეთანხმება რუსეთის მიერ ინიცირებულ მორიგ სატყუარას წარმოადგენდა, რომლის უმთავრესი მიზანი იყო სოხუმიდან ქართული შეიარაღებული ძალების გამოყვანა. ხელმოწერიდან თვენახევარში სეპარატისტებმა კვლავ დაარღვიეს შეთანხმება, დაიწყეს ფართომასშტაბიანი იერიში თითქმის დაუცველ პოზიციებზე, რაც დასრულდა სოხუმის დაცემითა და ქართველების ეთნოწმენდით.

კონფლიქტის მიმდინარეობისას რუსეთმა, როგორც მშვიდობის მთავარმა „გარანტმა“ მრავალგზის მოატყუა საქართველო საკუთარი შუამავლობითა და შეთანხმებებით. უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ საქართველომ თავად მოიტყუა თავი, რადგან არ გააჩნდა აგრესიის შეჩერების ბერკეტი და სხვა არჩევანი. საქართველოს მიმართ საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერა ატარებდა მხოლოდ ფორმალურ ხასიათს, რადგან რეზოლუციების გარდა მათ არ გააჩნდათ რუსეთსა და სეპარატისტულ რეჟიმებზე ზემოქმედების სხვა მექანიზმი.

საქართველო-რუსეთს შორის ურთიერთობა მნიშვნელოვნად დაიძაბა „ვარდების რევოლუციის“ შემდგომ. მიუხედავად იმისა, რომ 2004 წელს პრეზიდენტის რანგში სააკაშვილმა პირველი ოფიციალური ვიზიტი მოსკოვში განახორციელა, აღნიშნულმა ვერ მისცა დასაბამი კეთილმეზობლური ურთიერთობების ჩამოყალიბებას. რუსეთი ნეგატიურად უყურებდა დასავლეთის მიერ მხარდაჭერილ „ფერად“ რევოლუციებს, რადგან რეჟიმის ცვლილებები იწვევდა ქვეყნებს შორის თანამშრომლობის ახალ ვექტორს და ასუსტებდა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში მის გავლენას.

საქართველო-რუსეთის ურთიერთობებში სწრაფი ტემპით იზრდებოდა უთანხმოების სფეროები და რიტორიკის სიმწვავე. მხარეების გაღიზიანება შეიძლება ავხსნათ ორივე მხრიდან მრავალი გარემოებით.



რუსეთი:

- მკაცრად ეწინააღმდეგებოდა ნატოს აღმოსავლეთით გაფართოებას და მასში საქართველოსა და უკრაინის შესაძლო გაწევრიანებას. საქართველოს გაწევრიანების პერსპექტივები ზრდიდა რუსეთის აგრესიას და პროცესის ძალისმიერი გზით შეჩერების წინაპირობას. 2011 წლის 21 ნოემბერს, რუსეთის პრეზიდენტმა დიმიტრი მედვედევმა ვლადიკავკაზში სამხედროებთან შეხვედრისას საქართველოს წინააღმდეგ „მშვიდობის იძულების ოპერაციას“ უწოდა „აუცილებელი“ და განაცხადა, რომ ამით მათ შეძლეს საქართველოს ნატოში გაწევრიანების შეჩერება - „2008 წელს ჩვენ რომ შევმკრთალიყავით, გეოპოლიტიკური მოწყობა ახლა სულ სხვა იქნებოდა და მთელი რიგი ის ქვეყნები, რომელთა ხელოვნურად შეთრევასაც ცდილობდნენ ჩრდილო–ატლანტიკურ ალიანსში, უკვე იქ იქნებოდნენ“ (სივილ ჯორჯია 2011);
- აკრიტიკებდა საქართველოსადმი დასავლეთის სამხედრო დახმარებას. მათ მიერ თავდაცვის სისტემების განვითარების ხელშეწყობას, ქართული შეირაღებული ძალების წვრთნასა და აღჭურვას. კრემლი ასევე შეშფოთებას გამოთქვამდა თავდაცვის სექტორის მზარდი დაფინანსების მიმართ და ადანაშაულებდა საქართველოს ხელისუფლებას საომარი მოქმედებებისათვის მზადებაში;
- გაანაწყენა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაზე ცენტრალური ხელისუფლების კონტროლის განმტკიცებამ, რამაც კრემლს დააკარგვინა რეგიონზე გავლენა. მოსკოვმა გაითვალისწინა რა აჭარის გამოცდილება, არ დაუშვა ცხინვალის რეგიონში ქართული სცენარით მარიონეტული რეჟიმის შეცვლა;
- უარყოფითად შეხვდა საქართველოდან სამხედრო ბაზების გაყვანას და არ დათანხმდა გუდაუთაში დისლოცირებული ბაზის ინსპექტირებას;
- განარისხა იმან, რომ დიდი ზეწოლის მიუხედავად საქართველომ არ დათმო სომხეთთან დამაკავშირებელი გაზსადენი;
- პირად გამოწვევად იღებდა ენერგეტიკულ და სატრანსპორ-

ტო პროექტებში საქართველოს აქტიურ მონაწილეობას, სუამის ფორმატის გააქტიურებასა და საქართველო-უკრაინის ტანდემს.

საქართველო:

- მოითხოვდა მისი სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემას; დევნილთა მშვიდობიანი დაბრუნების უზრუნველყოფას;
- გმობდა რუსეთის მიერ სეპარატისტების პოლიტიკურ და სამხედრო მხარდაჭერას; მარიონეტული რეჟიმის სტრუქტურებში რუსეთის მოქალაქეების დანიშვნას;
- მოითხოვდა რუსეთის სამშვიდობო ძალების მხრიდან ობიექტურ მუშაობას, სამხედრო პროვოკაციების აღკვეთას, ასევე მოლაპარაკების ფორმატებისა და სამშვიდობო მისიების ინტერნაციონალიზაციას;
- პოლიტიკურ ზეწოლად აფასებდა რუსეთის მხრიდან ენერგეტიკულ შანტაჟს; რუსეთის ბაზარზე ქართული პროდუქციის აკრძალვასა და ქართველების არაჰუმანურ ექსტრადიციას;
- გმობდა რუსეთის მხრიდან გახშირებულ საჰაერო და საზღვაო სივრცის დარღვევას, ითხოვდა მათზე სათანადო რეაგირებასა და გამოძიებას.

დამოუკიდებლობის მოპოვების მიუხედავად რუსეთი განაგრძობდა აგრესიულ პოლიტიკას არა მარტო საქართველოს, არამედ ზოგადად სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნების მიმართ. კრემლი მიზანმიმართულად ქმნიდა დაძაბულობის კერებს, რათა წარმოეჩინა საკუთარი როლი და არ დაეკარგა მათზე კონტროლი. შედარებით უმტკივნეულოდ ბალტიისპირეთის ქვეყნებმა მოახერხეს იმპერიის ნანგრევებიდან თავის დაღწევა. დიდმა ქვეყნებმა კი შეძლეს მსხვერპლის გარეშე პრობლემის არიდება. უკრაინამ დიდი წინააღმდეგობების მიუხედავად შეძლო ყირიმის საკუთარ საზღვრებში შენარჩუნება, ხოლო ყაზახეთმა ქვეყნის ჩრდილოეთში გავლენის გაძლიერების მიზნით დედაქალაქი ალმა-ატიდან ასტანაში გადაიტანა. მიუხედავად ამ ნაბიჯებისა, რუსეთი ისედაც ითვალისწინებდა ქვეყნების ზომებს და შორეულ პერსპექტივაში მათთან დაპირისპირების შედეგებს. სამწუხაროდ, პატარა ქვეყნები ვერ გადაურჩენ სისხლიან კონფლიქტებს და დღემდე გადაუჭრელია მთიანი ყარაბაღისა და დნესტრისპირეთის პრობლემების დარეგულირების ზედი.

კრემლმა სანდოობის თვალსაზრისით სერიოზული ჩრდილი მიაყენა საკუთარ რეპუტაციას. მისი პოლიტიკის გაუაზრებლობა არ ექვემდებარებოდა არანაირ ლოგიკას ან ახსნას. ის, რომ რუსეთს შეექმნას პრობლემები საქართველოსთან არ იწვევს არანაირ გაკვირვებას, იმის ფონზე, რომ დროდადრო საგანგაშო ნიშნულამდე ადის მოსკოვსა და მინსკს შორის რიტორიკის სიმწვავე. ბელარუსს, რომელიც კვლავ ინარჩუნებს მმართველობის ძველ ფორმას, გაუქმებული აქვს სასაზღვრო კონტროლი, მონაწილეობს ერთიან საბაჟო სისტემაში და დიდ ყურადღებას უთმობს რუსეთთან სამხედრო თანამშრომლობას; რომ არაფერი ვთქვათ კულტურულ-რელიგიური სიახლოვეზე და რუსული ენის დომინირებაზე. გაურკვეველია, რატომ ახდენს რუსეთი ბელარუსზე ზეწოლას და კრემლის რომელ სტანდარტებს ვეღარ აკმაყოფილებს „ლუკა“. ბელარუსზე ზეწოლა და ქვეყნის ეკონომიკის დასუსტება ხომ პირდაპირ გავლენას იქონიებს რუსეთზე, რამაც შესაძლებელია გამოიწვიოს მინსკის მიერ მოსკოვთან ურთიერთობების გადახედვა. ის, რომ დღეს პოსტსაბჭოთა ქვეყნების ნაწილს აღებული აქვთ პროდასავლური კურსი უპირველესყოვლისა კრემლის პოლიტიკის „დამსახურებაა“. კრემლმა აგრესიული პოლიტიკით მოახდინა საკუთარი თავის იზოლაცია და გზა გაუხსნა დასავლეთის პოლიტიკურ და ეკონომიკურ მისწრაფებებს. თურქეთს საშუალება მიეცა დაებრუნებინა გავლენა პანთურქულ სამყაროზე საკუთარი პოზიციების გასაძლიერებლად. რუსეთმა კავკასიაში სიტუაციის არევით სცადა რეგიონის იზოლაცია, თუმცა იგი თავად აღმოჩნდა თამაშგარე მდომარეობაში, რითაც გზა გაუხსნა სამხრეთ კავკასიის მიმართ დასავლეთის დაინტერესებას და ახალი ენერგეტიკული დერეფნის გახსნას. ენერგეტიკულმა პროექტებმა იმედი გაუჩინა არა მარტო სამხრეთ კავკასიას, არამედ ცენტრალური აზიის ქვეყნებსაც, რამაც სერიოზულად დაასუსტა კასპიის აუზის ქვეყნებზე რუსეთის გავლენა. ტრანსკავკასიური რკინიგზის გათიშვით რუსეთი ეკონომიკურად და სამხედრო თვალსაზრისით თავად ჩამოშორდა სამხრეთ კავკასიას, რამაც მნიშვნელოვანი გამოწვევების წინაშე დააყენა სამხრეთ კავკასიაში რუსეთის უმთავრესი მოკავშირის, სომხეთის ეკონომიკა და მასში განთავსებული რუსული ბაზების ლოჯისტიკა. დასავლეთთან ეკონომიკურმა და ენერგეტიკულმა თანამშრომლობამ გააჩინა ნა-

ტოსა და ევროკავშირთან დაახლოების სურვილი, რათა სამხედრო და ეკონომიკურ სისტემაში შესვლით საბოლოოდ დასრულებულიყო რაიმე ფორმით რუსეთის მიერ გავლენის სფეროების დაბრუნების მცდელობა. რიგ პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებს ასევე გაუჩნდათ დასავლეთთან კულტურული ასოცირებისა და ევროპელობის განცდა, დასავლურ სტანდარტებთან მიახლოების სურვილი. ყოველივემ კიდევ უფრო გააძლიერა დასავლეთის პოზიციები, რადგან რუსეთი არ იძლეოდა ცივილიზებულობის, წარმატებისა და განვითარების მაგალითს.

საქართველოსათვის რუსეთთან ურთიერთობის აღდგენა უმნიშვნელოვანეს საკითხს წარმოადგენს, რადგან ურთიერთობის გაყინვით თავად საქართველო გამოვა წაგებული, რაც კიდევ უფრო დაგვაშორებს ოკუპირებული ტერიტორიების რეინტეგრაციას და სასიკეთოდ არ წაადგება ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას. რუსეთთან პრობლემის მოგვარების ერთადერთ ბერკეტს მთელი მსოფლიოსათვის სწორედ რომ დიალოგი წარმოადგენს და ამიტომაც საქართველო არსებული რეალობების გათვალისწინებით უნდა შეუდგეს საკუთარი ინტერესების დაცვას. რუსეთთან დიალოგი უნდა ეფუძნებოდეს გახსნილ და გულახდილ დიპლომატიას, რადგან თუ თავს მოვიტყუებთ, ამით მოტყუებულები თავადვე დავრჩებით, ხოლო თუ რუსეთს მოვატყუებთ, საპასუხოდ იგი შესაბამისად დაგვსჯის. აუცილებელია ფრთხილი ნაბიჯების გადადგმა, რათა არ დაუშვათ დასავლეთთან ურთიერთობების გაფუჭება; საფრთხე არ შევუქმნათ ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებასა და ეკონომიკურ თავისუფლებას; თავიდან ავიცილოთ ახალი კონფლიქტების გაღვივება. მთავარია საკუთარი ინტერესების ერთგულება და პოლიტიკის ფორმირებისას წარსული გამოცდილების გათვალისწინება.

„მიუტევეთ მტრებს, მაგრამ არასდროს დაგავიწყდეთ მათი სახელები“ - ჯონ ფიცჯერალდ კენედი (John F. Kennedy – „Forgive your enemies, but never forget their names).






## საგარეო ვექტორი და საქართველოს დასავლური კურსი

საქართველო, როგორც უძველესი ქრისტინული ქვეყანა, განვითარების მაგალითს დასავლეთში ხედავდა და თვითმყოფადობის გადარჩენისათვის დასავლეთთან პარტნიორობას მიიჩნევდა. ამდენად შემთხვევითი არ იყო საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოს მიერ დასავლური პოლიტიკური კურსის არჩევა.

ადრეულ პერიოდში ქართველ მეფეებში არსებობდა პრობიზანტიული პოლიტიკური განწყობა, რაც აისახებოდა პოლიტიკურ-სამხედრო მეკავშირეობასა და რელიგიურ-კულტურულ თანაზიარებაში. ქართველი მეფეები ხშირად მოგზაურობდნენ წმიდა მიწაზე, თაყვანს სცემდენ სიწმინდეებს, გაიღებდენ შეწირულობებს და მოვალედ თვლიდნენ თავს ებრძოლათ ქრისტიანული სიწმინდეების დასაცავად. მეხუთე საუკუნეში, მეფე ვახტანგ გორგასალმა ირანსა და ბიზანტიას შორის არჩევანი უკანასკნელზე გააკეთა, რაც საბოლოოდ სიცოცხლის ფასად დაუჯდა. ბიზანტიასთან ურთიერთობების გაძლირების მიზნით მან მეორეჯერ იქორწინა ბიზანტიის კეისრის (სავარაუდოდ, იმპერატორ ლეონის 457-474 წწ.) ასულ

ელენეზე. ბიზანტიასთან ახლო ურთიერთობების ჩამოყალიბებამ პარალელურად გაამწვავა ურთიერთობა ირანთან. ირანის შაჰმა ვახტანგ გორგასალს შესთავაზა მეკავშირეობა ბიზანტიის წინააღმდეგ. ასეთ წინადადებაზე უარის მიღებამ საბაბი დაუდო ქართლში ირანის შაჰის ახალ გამოლაშქრებას. ივრის პირას გამართულ ომში (სავარაუდოდ 491 ან 502 წლები) სასიკვდილოდ დაჭრილმა ქართლის მეფემ ერს ანდერძად დაუბარა პრობიზანტიული პოლიტიკური კურსის შენარჩუნება - "თქუენ, მკვიდრნო ქართლისანო, მოიხსენეთ კეთილნი ჩემნი, რამეთუ პირველად სახლისა ჩემისა მიერ მიიღეთ ნათელი საუკუნო, და მე ხორციელებრითა დიდებითა გადიდენ თქუენ ნათესავთა ჩემთა. და სახლსა ჩუენსა ნუ შეურაცხჰყოფთ, და სიყუარულსა ბერძენთასა ნუ დაუტეობთ" (ე. ცაგარეიშვილი).

ქართულ ცნობიერებაში დასავლეთი ყოველთვის რჩებოდა ერის ხსნის ერთადერთ გზად, რაც უკავშირდებოდა დიდი ილიას სიტყვებით ქართული იდენტობის – „ენა, მამული, სარწმუნოება" გადარჩენას. საუკუნეების მანძილზე ქართველი მეფეები და ერისკაცები მრავალგზის შეეცადნენ დასავლეთისაგან დახმარების მიღებას აღმოსავლური იმპერიების ექსპანსიის შესაჩერებლად. საქართველოსათვის ქმედითი მხარდაჭერის გაწევას დასავლეთი გრძელვადიან პერსპექტივებში ხედავდა, მაშინ როდესაც თავად შემლებდა აღმოსავლური იმპერიების წიაღში შესვლასა და საკუთარი გავლენის სფეროების მოპოვებას. მიუხედავად მრავალი იმედგაცრუებისა ქართველები მაინც არ კარგავდნენ დასავლეთის დახმარების იმედსა და ნდობას.

საქართველოს ევროპული გზა განაპირობა დასავლური ფასეულობების მიმართ სწრაფვამ, კულტურულმა და რელიგიურმა სიახლოვემ. ევროპა ქართველებისათვის წარმოადგენდა შთაგონების წყაროს ჰუმანიზმის, თავისუფლებისა და განვითარების თვალსაზრისით, რაც ნათლად აისახა მე-18-19 საუკუნის ქართველი საზოგადო მოღვაწეების შეხედულებებში. ევროპაში მე-18-19 საუკუნის განმანთავისუფლებელმა მოძრაობებმა დადებითი მუხტი შეიტანეს ქართველ ერისკაცებში. ილია ჭავჭავაძეში აღტაცებას იწვევდა ჯუზეპე გარიბალდის მეთაურობით იტალიელი ხალხის გამარჯვება და ეროვნული მთლიანობის აღდგენა. იგი შენატროდა თავის ქვეყანაში მონობის ბორკილების მტვრევის ხმის გაგონებას და საფრანგეთის რევოლუციის მსგავსად საფუძვლად უდებდა დევიზს - „ძმობა, ერთობა, თავისუფლება". განმანათლებლობასთან ერთად პოლიტიკურ მიზნებს ემსახურებოდა ილია ჭავჭავაძისა და სხვა საზოგადო მოღვაწეების მიერ თერგდალეულთა და წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების შექმნა. თერგდალეულთა სამ უმთავრეს ამოცანას წარმოადგენდა: ქართული ცნობიერების გაღვიძება და გაძლიერება; ერის კონსოლიდაცია საერთო მიზნის ირგვლივ; მომავალი თაობების განათლება, მათთვის ევროპული მეცნიერებების შესწავლა და სამოქმედოდ ევროპული გამოცდილების გათვალისწინება.

„ყმაწვილ-კაცობა უნდა მომზადდეს ბეჯითის და ზედმიწევნის ცოდნითა, უნდა, რამდენადაც შესაძლოა, ძირეულად შეისწავლოს ევროპული მეცნიერება, წინ გაიმძღვაროს ევროპის გამოცდილება, და ამ თოფ-იარაღით შეუდგეს ჩვენი ქვეყნის საქმეს. უამისოდ იმ მოედანზე, რომელიც ჩვენ ზემოთ ვიგულისხმეთ, კაცი ერთ ბიჯსაც რიგიანად და სამკვიდროდ ვერ წარდგამს, და იმ საგანს და გზას, რომელიც ჩვენ აღვნიშნეთ, ვერაფერს საბოლოოდ ვერ დაამჩნევს" (ბაქრაძე 2006).

თანამედროვე პერიოდში ქართული სახელმწიფოს ჩამოყალიბებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის დასავლეთს. 1918 წელს, დასავლეთის ზეგავლენის შედეგად შეიქმნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა და მიღებული იქნა „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი". დასავლეთის ხელშეწყობა გამოიხატა იმითაც, რომ დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან უახლოეს პერიოდში ევროპისა და მსოფლიოს წამყვანმა სახელმწიფოებმა ოფიციალურად აღიარეს საქართველოს დამოუკიდებლობა, რამაც გარკვეული წვლილი შეიტანა რუსეთის იმპერიის იურიდიულ და ფაქტობრივ რღვევაში. დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად რუსეთის იმპერია იძულებული გახდა, რომ თავადაც ეცნო საქართველოს დამოუკიდებლობა. დამოუკიდებელ სახელმწიფოდ არსებობის სამმა წელმა ქართველ ხალხს მიანიჭა დამოუკიდებლად ცხოვრებისა და თვითგამორკვევის უფლება. რომ არა 1918-1921 წლების პირველი რესპუბლიკა შეუძლებელი იქნებოდა რუსეთის იმპერიიდან რეალურად თავის დაღწევა.

მე–20 საუკუნის დასაწყისში ქართული სახელმწიფოებრიობის განმტკიცებას ემსახურებოდა პოლონეთის მიერ ინიცირებული პოლიტიკური მოძღვრება და მიმდინარეობა – „პრომეთეიზმი", რომელსაც სათავე ჩაუყარა და განავითარა საქართველოს დიდმა ქომაგმა პოლონეთის მეორე რესპუბლიკის პრეზიდენტმა, მარშალმა იუზეფ

პილსუცკიმ. მიმდინარეობა - „პრომეთეიზმი“ მიზნად ისახავდა რუსეთის იმპერიაში მცხოვრები ერების დახმარებას და სახელწოდებიდან გამომდინარე ძირითადი აქცენტი კავკასიელ ხალხზე კეთდებოდა. დღეს „პრომეთეიზმი“ შეცვლილი სახელითა და განსხვავებული გამოწვევებით განაგრძობს არსებობას, იგივე პოლონეთისა და შვედეთის მიერ ინიცირებული თანამშრომლობის – „აღმოსავლეთი პარტნიორობა“ სახით. ევროკავშირის თანამშრომლობისა და მხარდაჭერის ახალი ფორმატი – „აღმოსავლეთ პარტნიორობა“ მიზნად ისახავს ევროპის ნაწილში არსებული პოსტსაბჭოთა ქვეყნების (უკრაინა, მოლდავეთი, აზერბაიჯანი, საქართველო, სომხეთი, ბელარუსი) დემოკრატიულ ტრანსფორმაციას, ევროკავშირთან მათ ინტეგრაციასა და რუსული პოლიტიკური ორბიტიდან საბოლოოდ გამოყვანას. რუსულ პოლიტიკურ ორბიტაში არ იგულისხმება მხოლოდ პოლიტიკური და ეკონომიკური მარწუხებისაგან გათავისუფლება, არამედ იგი მოიცავს ფართო სპექტრით საჯარო სექტორების კომუნისტურიდან დასავლურზე კულტურულ-მენტალურ გადაწყობას.

მეორე მსოფლიო ომმა და შემდგომ, ევროპაში კომუნისტური მმართველობის დასრულებამ სული ჩაბერა ახალი შთაგონების - „ევროპული იდენტობის“ დაბადებას. რობერტ შუმანის ომის შემდგომმა გეგმამ ეკონომიკური თანამშრომლობის მოტივით გააერთიანა ევროპის ქვეყნები საერთო ინტერესების ირგვლივ და ჩამოაყალიბა ურთიერთობების ახლებური წესრიგი მულტინაციონალური გაერთიანების ფარგლებში, რომელიც ეტაპობრივად ევროკავშირად გარდაიქმნა. მულტინაციონალურმა სისტემამ გადამწყვეტი როლი ითამაშა მშვიდობის გამტკიცების, ნდობის აღდგენის, ეკონომიკის რეაბილიტაციისა და განვითარების მხრივ. იგი ევოლუციურად ჩამოყალიბდა როგორც ძლიერი სახელმწიფოების ოჯახი დაფუძნებული საერთო ფასეულობებზე, ნორმებსა და ხედვებზე. ევროპას მანამდე არასდროს არ ჰქონია ევროპული სახელმწიფოებრიობის ერთიანი მოდელი და არც სახელმწიფოების ინტეგრაციის ერთიანი სისტემა.

აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპაში კომუნისტური მმართველობის დამხობამ გააღვივა ყოფილი ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნებში „ევროპულ ოჯახში“ დაბრუნების გრძნობა, რაც თავის მხრივ ნიშნავდა თავისუფალ, დამოუკიდებელ და თანამედროვე ევროპულ ქვეყნებთან თანაცხოვრებას; დემოკრატიის, საბაზრო ეკონომიკისა და ადამიანის უფლებების ევროპულ ნორმებთან შესაბამისობაში მოყვანას; რუსეთის გავლენისაგან თავდაცვას და შე-



საბამისად ნატოსა და ევროკავშირში გაწევრიანებას. მაასტრიხტის ხელშეკრულებამ და კოპერჰაგენის კრიტერიუმებმა განსაზღვრეს ევროპელობისა და ევროკავშირის გაფართოების პრინციპები. კერძოდ, განისაზღვრა საერთო ხედვა ინსტიტუციურ დემოკრატიაზე, კანონის უზენაესობაზე, ადამიანის უფლებებსა და საბაზრო ეკონომიკაზე. ყოველივემ წარმოშვა ქვეყნებში დემოკრატიული ტრანსფორმაციის ვალდებულება, რათა შესაბამისობაში მოსულიყვნენ ევროპულ სტანდარტებთან. ამდენად, გახდე ევროპელი ნიშნავს იმას, რომ იყო ევროკავშირის წევრი ქვეყნების მსგავსი.

ტრანსფორმაციის პროცესმა ეროვნულობის გრძნობის ამაღლების პარალელურად ხელი შეუწყო კოსმოპოლიტური – „ევროპული“ იდენტობის ჩამოყალიბებას. ევროპათმცოდნეთა ერთი ნაწილი თანამედროვე ევროპული იდენტობის ჩამოყალიბების უმთავრეს ფაქტორად მეორე მსოფლიო ომის დამანგრეველ შედეგს ასახელებს. ომმა ზეგავლენა მოახდინა აზროვნებაზე ევროპის მნიშვნელობის მიმართ. იგი გახდა საკამათო იდეა, რომელიც მუდმივად განიცდიდა და განიცდის ცვლილებებს საზოგადოების ცნობიერებაში. მეცნიერების სხვა ჯგუფი თანამედროვე ევროპული იდენტობის ჩამოყალიბებას ევროპული ინტეგრაციის პროცესით ხსნის, რომლის მამოძრავებელ ძალასაც წარმოადგენს ტრანსნაციონალური საჯარო სექტორი. მათი მტკიცებით დღეისათვის ევროკავშირის ქვეყნების ბევრ მოქალაქეს საკუთარ ეროვნულ იდენტობასთან ერთად გააჩნიათ დამატებით ევროპული იდენტობაც. არსებობს ეკონომისტების მიდგომები ევროპულ იდენტობასა და ევროპის მომავალთან დაკავშირებით. მათი მტკიცებით ევროპულმა ეკონომიკურმა პროექტებმა მნიშვნელოვნად შეცვალეს საზოგადოების ფასეულობები და შეხედულებები. პროექტებმა გაზარდეს ერების ურთიერთქმედების შესაძლებლობები, რამაც წაახალისა ევროპული იდენტობის, მასობრივი კულტურისა და პოლიტიკის ფორმირება. საყურადღებოა ასევე იმ მეცნირების მოსაზრება, რომლებიც ევროპული იდენტობის ფორმირებას აღწერენ კულტურული პოლიტიკის მნიშვნელობით. ფართო გაგებით ევროპელობა და ევროპული საზოგადოების ფორმირება განაპირობეს ინსტიტუციურმა პროექტებმა. ევროპულმა ინტეგრაციამ მოახდინა საზოგადოების ტრანსფორმაცია, რაც აისახა კულტურათა, იდენტობებისა და მმართველობის ფორმების რეკონფიგურაციაში.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოს მიეცა საშუალება განესაზღვრა სახელმწიფოს ფორმირების საფუძვლები და საგარეო

პოლიტიკური ვექტორი. იმპერიების წიაღში თანაარსებობამ თავისი გავლენა იქონია საზოგადოების ცნობიერების ჩამოყალიბებასა და პოლიტიკურ კულტურაზე. ამიტომაც ბუნებრივია, რომ ქართული ცნობიერება დაკავშირებულია დასავლურ, აღმოსავლურ და საბჭოთა ღირებულებებთან, რაც თავის მხრივ კითხვას ბადებს საკუთარი თავის შემეცნებასა და იდენტობასთან დაკავშირებით.

საბჭოთა პერიოდში საქართველო მოიაზრებოდა, როგორც ქვეყნის სამხრეთი ნაწილი და მოსახლეობაც იწოდებოდა, როგორც სამხრეთელები. იმ დროისათვის მოსახლეობაში ევროპელობის განცდას ჭარბობდა აღმოსავლეთის კულტურასთან სიახლოვე. საბჭოთა იდეოლოგია მოჩვენებითად ქმნიდა „საბჭოთა ადამიანის“ ანუ „ჰომო სოვიეტიკუსის“ კულტს, რამაც საქართველოში რეალურად ვერ მოიკიდა ფეხი და დღეს თავისუფლად შეიძლება იმის თქმა, რომ საქართველოში იდენტობის მხრივ არ არსებობს „ჰომო სოვიეტიკუსის“ განცდა.

საქართველოს მიერ არჩეულმა დასავლურმა პოლიტიკურმა კურსმა წინა პლანზე წამოწია ქართველების ევროპული იდენტობის საკითხი, რაც მდგომარეობს ქვეყნის გარეთ ევროპულობის პოპულარიზაციაში. ევროპულ ოჯახში დაბრუნება და ევროპელებთან საქართველოს ევროპულ იდენტობაზე საუბარი მნიშვნელოვან საკითხს წარმოადგენს ქართველი პოლიკური ლიდერებისათვის.

1999 წლის 27 იანვარს, ევროსაბჭოს გენერალური ასამბლეის სხდომაზე, საქართველოს ევროსაბჭოში გაწევრიანება შემდეგნაირად ახსნა ზურაბ ჟვანიამ – „მე ვარ ქართველი და მაშასადამე ვარ ევროპელი“.

საქართველოს პრეზიდენტი, მიხეილ სააკაშვილი ხშირად იყენებს ევროპის მაღალ ტრიბუნას საქართველოს ევროპული იდენტობის დასამტკიცებლად. 2004 წელს მან ევროკავშირის უმაღლეს კომისარ ხავიერ სოლანასთან შეხვედრის დროს განაცხადა „ქართველმა ხალხმა დაამტკიცა, რომ თავისი ბუნებით და მოქმედებით არის ბოლომდე ევროპული ხალხი… ჩვენ, შესაძლოა, ბევრად უფრო ევროპელი ხალხი ვართ, ვიდრე ძველი ევროპელები… არსებობენ ძველი ევროპელები - ესაა დასავლეთი ევროპა და არსებობენ ახალი ევროპელები - ესაა პოლონეთი, უნგრეთი… მაგრამ არსებობენ, გარდა ამისა, უძველესი ევროპელები და ესენი ვართ ქართველები... “უძველესი ევროპა” მიესალმება “ძველ” და “ახალ” ევროპას და მას ევროპულ ორგანიზაციებში გაერთიანებას სთხოვს“ (გვახარია 2004).



2006 წელს ევროპარლამენტის სესიაზე მიწვეულმა საქართველოს პრეზიდენტმა ბერძნული მითოლოგიების საშუალებით კვლავ შეახსენა ევროპელებს „უძველესი ევროპელების“ შესახებ – „ევროპა ყოველთვის იყო მრავალი პატარა და დიდი ერის სახე. ქართველები არიან ევროპელები იმ დროიდან, როცა პრომეთე საქართველოს მთებს მიაჯაჭვეს და როცა არგონავტები ჩვენს ქვეყანაში ოქროს საწმისის საძებნელად მოვიდნენ. ქართველები არა მხოლოდ ევროპელები ვართ, არამედ გულმხურვალე ევროპელები ვართ“ (ასათიანი 2006).

2013 წლის 16 თებერვალს, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ბიძინა ივანიშვილმა „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ რიგგარეშე ყრილობაზე მკაფიოდ განაცხადა, რომ საქართველოს ხელისუფლება გააგრძელებს ქვეყნის დასავლური ინტეგრაციის კურსს, რადგან იგი არის არა წინა ხელისუფლების, არამედ ქართველი ხალხის საუკუნეობრივი სწრაფვა და არჩევანი – „ევროპა საქართველოსთვის მხოლოდ პოლიტიკური არჩევანი არ იყო. ამას მოწმობს ჩვენი სარწმუნოება, კულტურა, ქართველი კაცის მსოფლმხედველობა. სულხან-საბას, ილიასა და ვაჟას ქვეყანაში ვერავინ დაიჩემებს, ვერც „ნაციონალური მოძრაობა“ და ვერც „ქართული ოცნება“, რომ ევროპული გზა მხოლოდ მისი კუთვნილებაა. ტყუილია, რომ ევროპული არჩევანი „ნაციონალური მოძრაობის“ კუთვნილებაა, ტყუილია, რომ ვინმე აპირებს ამ გზიდან გადახვევას. ეს არჩევანი ქართველმა ხალხმა დიდი ხანია გააკეთა“ (Prime Time 2013).

გასაკვირი არ არის, რომ საქართველოს აქვს პრეტენზია უძველეს ევროპელობაზე და ამაყობს, რომ არის უძველესი ქრისტიანული ქვეყანა, ვაზისა და ღვინის სამშობლო, აქვს უძველესი არქეოლოგიური აღმოჩენები და რომ პირველი ევროპელები იყვნენ – „ზეზვა და მზია“, მაგრამ ერთია რას ამბობ შენ საკუთარ თავზე და მეორეა რას ფიქრობენ სხვები შენზე.

დღეისათვის საქართველო წარმართავს აქტიურ დიალოგს ევროკავშირთან. არსებობს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი, რომელიც სხვადასხვა სამინისტროსთან ერთად ამზადებს ევროპის სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმის განხორციელების ყოველწლიურ გეგმას. საქართველო ევროპის სამეზობლო პოლიტიკის ფარგლებში აქტიურად მუშაობს კანონმდებლობის ჰარმონიზაციის

პროცესზე, რათა ეტაპობრივად მოხდეს ევროკავშირთან საკანონმდებლო დაახლოება. სამეზობლო პოლიტიკა მოიცავს ევროკავშირთან პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ დაახლოებას და ისეთი საკითხების მხარდაჭერას როგორიცაა: რეფორმების ხელშეწყობა, დემოკრატიის განვითარება, კონფლიქტების მშვიდობიანი დარეგულირება, ენერგეტიკული საკითხების ირგვლივ თანამშრომლობა, ვაჭრობის ლიბერალიზაცია, მოქალაქეთა მობილობის ხელშეწყობა და სხვა.

„აღმოსავლეთ პარტნიორობა“, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა 2009 წელს პრაღის დეკლარაციის შედეგად, წარმოადგენს საქართველო–ევროკავშირს შორის თანამშრომლობის ახალ ეტაპს. იგი მიზნად ისახავს პროცესში მონაწილე ქვეყნების ევროკავშირთან პოლიტიკურ და ეკონომიკურ დაახლოებას. „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ფარგლებში საქართველოს საშუალება ეძლევა ევროკავშირთან გააღრმაოს ორმხრივი ურთიერთობა და მიაღწიოს „ასოცირების შესახებ შეთანხმებას“ (Association Agreement).

საქართველოს სწრაფვა გახდეს ევროპული ქვეყანა დაკავშირებულია საშინაო და საგარეო პოლიტიკასთან. ევროპულ ქვეყნად ფორმირებისათვის აუცილებელია დემოკრატიული ინსტიტუციებისა და საზოგადოებრივი აზრის ფორმირება. საზოგადოებამ უნდა დაინახოს თავისი ადგილი მსოფლიო ცივილიზაციაში და ხელისუფლების მეშვეობით შეეცადოს ღირსეული ადგილის დამკვიდრებას. საზოგადოებრივი აზრის მომზადებისათვის აუცილებელია მთავრობის, მედიისა და სამოქალაქო ორგანიზაციების ერთობლივი მუშაობა არსებული სირთულეების გამოვლენისა და გამოწვევების საპასუხოდ.

ამისათვის აუცილებელია რეგულარულად კვლევების ჩატარება, რის საფუძველზეც მოხდება ქვეყნის მასშტაბით საინფორმაციო და სხვა სახის კამპანიის ორგანიზება.

დასავლური პოლიტიკური კურსის მიუხედავად სამწუხაროა, რომ საქართველოს მოსახლეობას ჯერ კიდევ კარგად არა აქვს გათავისებული ევროპელობის ფენომენი. ყოველივე ნათლად გამოჩნდა 2012 წლის ზაფხულში, პროექტის – „საქართველო ევროპაში“ ფარგლებში, რეგიონებში მოსახლეობასთან გამართულ შეხვედრებში. მოსახლეობაში ევროპელობის მიმართ არსებობს განსხვავებული დამოკიდებულება, რაც აიხსნება პოზიტიური და ნეგატიური მიდგომებით. ამდენად, კითხვები - თუ რა არის ევროპა და ვართ თუ არა ევროპელები გვაძლევს განსხვავებულ პასუხებს.



საქართველოს მოქალაქეების ერთი ჯგუფი თავს ევროპელად მიიჩნევს და უმთავრეს არგუმენტად ასახელებს ქრისტიანულ სარწმუნოებას, კულტურულ სიახლოვესა და დასავლური ფასეულობების მიმართ სწრაფვას. მოსახლეობის სხვა ჯგუფი უმთავრეს აქცენტს აკეთებს კავკასიურ იდენტობაზე, რომელშიც ჭარბობს აღმოსავლური გავლენა. ისინი საკუთარ აზიურ იდენტობას ხსნიან არსებული წეს-ჩვეულებებით, კულტურითა და შეზღუდული სექსუალური თავისუფლებით. მათი აზრით ევროპას ახასიათებს ფართო ლიბერალიზმი, რაც ხშირ შემთხვევაში ასოცირდება გარყვნილებასთან და შეუთავსებლობაში მოდის ქართულ ცნობიერებასთან. ზოგიერთ ადამიანში ევროპა იწვევს საკუთარი კულტურისა და იდენტობის დაკარგვის შიშს, რამაც დროთა განმავლობაში შესაძლოა, რომ შეცვალოს ქართველი კაცის ცნობიერება და ღირებულებები. ზოგადად მოსახლეობის უმრავლესობა თანხმდება იმაზე, რომ ევროპა არის განვითარების სიმბოლო და დემოკრატიული სახელმწიფოების ერთობა, რომლისკენაც საქართველომ აუცილებლად უნდა გააგრძელოს სვლა. ამიტომაც ხშირად, როდესაც საუბარი ეხება საქართველოს ევროკავშირისაკენ სწრფვას, მაშინვე ისმება კითხვები: როდის შევა საქართველო ევროკავშირში? მიგვიღებს თუ არა ევროპა საერთო ევროპულ ოჯახში, იმ ეკონომიკური განვითარებით, პრობლემებითა და კულტურული ფასეულობებით, რომელიც გაგვაჩნია? რა უნდა გავაკეთოთ ინტეგრაციისათვის? რა სარგებელს მოუტანს ევროპა საქართველოს? რა საფრთხის მატარებელია ევროპა საქართველოსთვის?

